# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 17 ივნისი 2003 №110 (1881) | ფასი 50 თეთრი


REUTERS ბარსელონიდან



# ბარსელონას არჩევანი: ახალგაზრდა იურისტის დაპირება

## ლაპორტა ბექემით აღარ თამაშობს

„ბარსელონას“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს, 40 წლის იურისტი ხუან ლაპორტა და მსოფლიოს კლუბთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ის ხალხის არჩეული პრეზიდენტია — ეს „ბარსელონას“ წესია.

არჩევნების წესი კი დაპირებების უხვად დარიგებაა და სწორედ აქ მივადექით ყველაზე საინტერესოს.

ლაპორტას მთავარი კონკურენტი ლუის ბასატი საფეხბურთო წრეებში ბევრად უფრო ცნობილი კაცი და კლუბის ძველი ხელისუფლების მთავარი კრიტიკოსი იყო. მან გვერდით დაიყენა სრულიად კატალონიის კერპი პეპ გვარდიოლა, მწვრთნელად კი რონალდ კუმანს უხმო. და რით მოუგო ლაპორტამ ბასატს არჩევნები? ერთადერთი დაპირებით — დევიდ ბექემით.

არანაირი კონკრეტული შეთანხმება და წინასწარი კონტრაქტი — „მანჩესტერს“ თავისი ვარსკვლავის გაყიდვა სურს და ლაპორტამაც მხოლოდ შეუთვალა, მყიდველთა შორის მეც ვარო. ეს იყო და ეს, მაგრამ სწორედ ეს აღმოჩნდა მთავარი, უფრო სწორად კი ის, რომ და კატალონიელებმა დაპირებისა დაიჯერეს.

თუ დააკვირდებით, ახლანდელი ბარსელონური ამბავი ძალიან ჰგავს სამი წლის წინანდელ რეალურს. მაშინ საფეხბურთო წრეებში უცნობმა ფლორენტინო პერესმა სწორედ ფიგუს დაპირებით მოუგო მრავალ თასთა მომგებ ლორენსო სანსს.

მაშინ პერესმა დაპირება ალასრულა, ლაპორტას დაპირებაზე კი ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ისე, ნაარჩევნებს ახალმა პრეზიდენტმა თქვა, ხალხს დავპირდი, ბექემის გადმოსაბირებლად მცდელობას არ დავიშურებ, ის კი არ მითქვამს, უეჭველად გადმოვიყვანო.

ვინძლო ეს სიტყვები ლაპორტასთვის ხმის მიმცემთაგან ბევრს არ ეამა და გულმა რეჩხი უყო.

# ლომაიას კიევში კონტრაქტი და დრო შესთავაზეს



ბადრი კალანდაძის ფოტო

გაჭირვებულ-განერვიულებული „ლოკომოტივისა“ რა გითხრათ და, საქართველოს ნაკრებისთვის კი ნაღდად აჯობებს, რაც მეტი ფეხბურთელი ითამაშებს წესიერ გუნდებში. გიორგი ლომაიაზე მოგახსენებთ, ვინც კიევში იყო წასული, იქაურ „დინამოს“ გაეცნო და პრეზიდენტ იგორ სურკისსაც გაესაუბრა. სურკისმა მას კონტრაქტი შესთავაზა, იქაურობით მოხიბლა და მოსაფიქრებლად დროც მისცა.

კიევის „დინამო“ ევროპულ გრანდად არ ითვლება, მაგრამ ვარსკვლავთა სამჭედლოს კი წარმოადგენს და თუნდაც ამიტომ ღირს იქ თამაში, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუ რა განსხვავებაა ამ გუნდსა და თბილისის „ლოკომოტივს“ შორის.

ერთი სიტყვით, თითქოს დასაფიქრებელიც არაფერია და ლომაიაც უეჭველად უნდა გადაბარგდეს უკრაინაში და თუ მაინც აქვს საფიქრალი, მხოლოდ და მხოლოდ უფრო უკეთესი ვარიანტი, ვთქვათ, ბრიტანეთში...

ისე, კიევის „დინამოს“ ალექსანდრ შოვკოვსკი და ვიტალი რევა ჰყავს და ლომაია იქ თუ წავიდა, ვინძლო მესამე მეკარედ მოუწიოს ყურყუტი — წახდება ბიჭი, თავში ნახსენებ „ლოკომოტივს“ კი ყველა ვარიანტში უნდა ერჩივნოს მეკარის გაშვება — ლომაიას მალე კონტრაქტი გაუთავდება და თავის დროზე ზურაბ ხიზანიშვილში უსაფუძვლოდ რომ ითხოვდნენ ფულს, ლომაიასაც ისე არ დაემართოს.

„ლოკომოტივს“ საფიქრალი სხვაც ბევრი აქვს, გუნდი უმწვრთნელოდაა. რევაზ ძოძუაშვილს კი შესთავაზეს მუშაობა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამბიციურ, ეროვნულ გუნდში ხელმოცარულ მწვრთნელს, უამბიციო „ლოკომოტივი“ დიდად არ ეპიტნავება.

# ტეხასში მხოლოდ ტეხასელები

## სან ანტონიო: ჩემპიონობის ღირსი ჩემპიონი

„სან ანტონიო სფურზი“ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონია. ღირსეული ჩემპიონია, რამეთუ დაამარცხა მანამდე სამ პლეი ოფში დაუმარცხებელი „ლეიკერსი“ თავის ონილიან-ბრაიანტიანად, გადმოლახა კიდევ ერთი ჯებირი და სულ ბოლოს მოპირისპირე კონფერენციიდან ამოსულ რჩეულ მეტოქეს, „ნიუ ჯერსის“ შეება. ყველაფერი გუშინ გამთენიისას სამხრეთ ტეხასში დასრულდა — სანანტონიოელმა „დეზებმა“ ფინალური სერიის მეექვსე ჯახში შინ 88:77 დახიეს ნიუჯერსელი „ბადეები“ და ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს 1999 წლის შემდეგ მეორედ ჩამოართვეს საჩემპიონო თასი.

„დეზებს“ დღემდე შერჩენიათ პირველი ტრიუმფის შემოქმედი ხალხი, ნაომარი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი და მისი ბებერი მგლები დევიდ რობინსონი, სტივ კერი... მაგრამ სან ანტონიო ყველაზე დიდ მადლობას „სფურზის“ მაშინაც და ახლაც ლიდერს და ორივე ფინალის უძვირფასეს მოთამაშე ტიმ დანკანს გადაუხდის. გულუბრყვილოსახიანმა ტიმმა ბოლო თამაშში საერთოდ დახვრიტა ისედაც განწირული „ნიუ ჯერსი“, სამმაგი და ლამის ოთხმაგი დუბლი შეუსრულა, სულ ორი დაფარება დააკლდა ამ უნიკალურ რეკორდამდე. მაგრამ ახ[illegible]ქეთა ხელში უძვირფასესი მოთამაშის პრიზი უკავია და იქითაში საჩემპიონო თასი და როგორ გგონიათ, რაიმეს ნაღვლობს?

სასიამოვნო სანახავია ერთად შეყრილი და ბალღებივით ალალად გახარებული ამდენი გოლიათი. მათგან კიდევ ერთი მოსჩანს განცალკევებით: 37 წლის დევიდ რობინსონმა „სფურზს“

14 წელი შეალია და პენსიაზე არცთუ დამშვიდებული გავიდა. ლამაზი კარიერის დიდებული დასასრული, ალბათ, კიდევ რამდენიმე დღე ვერ დაამშვიდებს დარბაისელ, თუმც ახლა ბუმბულივით ამჩატებულ „ადმირალს“.



REUTERS სან ანტონიოდან

„სან ანტონიოს“ წყვილი კოშკი: ტიმ დანკანი და დევიდ რობინსონი

# პროფლიგა: კარგად ცხოვრება ძნელია

*მსოფლიოს ფეხბურთში დღითი დღე აქტუალური ხდება პროფესიული ლიგის არსებობა. ევროპის ნამყვან საფეხბურთო ქვეყნებში პროფესიული ლიგების სარგებლიანობამ ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციები კონკრეტულ მოთხოვნამდე მიიყვანა — ფიფა-უეფაში შემავალი თითოეული წევრისთვის აუცილებელია პროფესიული საფეხბურთო ლიგის არსებობა. სწორედ ამ მიზნით შეუდგა უეფა კლუბების ლიცენზირებას. ეს პროცესი, ბუნებრივია, საქართველოსაც შეეხო, რაკიღა სფფ ფიფა-უეფას მორჩილია, ესენი კი პროფესიულ ლიგას ითხოვენ*

პროფესიული ლიგის არსებობის აუცილებლობაზე საუბარი ჩვენში ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ლევან ყიფიანმა წამოიწყო. იგი მაშინ ფედერაციაში მუშაობდა და სწამდა, რომ პროფესიული ლიგის ჩამოყალიბება უთუოდ ხელს შეუწყობდა და დააჩქარებდა საქართველოში ფეხბურთის განვითარებას. ყიფიანის იდეას მაშინ ყური არავინ მიუგდო, ფედერაციას ჩინებული მექანიზმი ჰქონდა შემუშავებული. ამის წყალობით სფფ გუნდებსაც აკონტროლებდა, მათგან გარკვეულ შემოსავალსაც იღებდა (საწევრო, გადასახადი დისციპლინარულ დარღვევებზე) და ჩემპიონატის მართვის სადავეებიც ხელთ ეპყრა. ბუნებრივია, ერთი წლის წინ სფფ-მ თბილად მოწყობილი კერის დანგრევა არ ისურვა, ახლა კი ფედერაცია თავადაა პროფესიული ლიგის შექმნის მომხრე. ფედერაციის „ფერისცვალება“ ადვილი ასახსნელია — დამოუკიდებელი საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბება ფიფა-უეფას მოთხოვნაა. ამის დასტურად თბილისში ნასტუმრები ლენარტ იუჰანსონის და იოზეფ ბლატერის სიტყვებიც გამოდგება. ფედერაციამ მწვანე შუქი აუნთო პროფესიულ ლიგას, მაგრამ უმთავრეს კითხვაზე პასუხი ჯერაც არ აქვს — არიან მზად ქართული კლუბები ამ პროცესისთვის? ვფიქრობთ, რომ არა, რადგან პროფესიული ლიგის ჩამოყალიბება ერთობ შრომატევადი პროცესია. მასში შესასვლელად თითოეულ კლუბს მყარი ფინანსური გარანტიები უნდა ჰქონდეს, უნდა ჰყავდეს ფარმკლუბი, ბავშვთა გუნდი. ლიგა უნდა იყოს ფედერაციისგან დამოუკიდებელი და ჰყავდეს მძლავრი სპონსორი, ამგვარი საფუძველი კი ქართულ ფეხბურთში დღესდღეობით მოუმწიფებელია. სფფ კი ჩქარობს, ფედერაციის ჩინოსნებს დღეს კლუბების პრეზიდენტებთან შეხვედრა აქვთ დაგეგმილი, მიზანი პროფესიული ლიგის შექმნაა. საკვირველია, ასეთ უიმედო სიტუაციაში როგორ მოახერხებს ფედერაცია უეფას დირექტივის შესრულებას. რომც მოახერხოს, ახალშექმნილი ლიგა სრულყოფილად პროფესიული ვერც იქნება, რადგან სფფ-ის პროექტით, მაინც ფედერაციაზე იქნება დამოკიდებული. თუკი დღეს სფფ-ის ჩინოსნები და კლუბების მესვეურები შეთანხმდნენ, შეიქმნება პროფესიული ლიგა, რომელიც თითქოს დამოუკიდებელი იქნება, რაკიღა თავისი სახსრებით უნდა ისაზრდოოს, ფედერაციას მხოლოდ რეგიონული, ბავშვთა ლიგა და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი დარჩება, პრობლემაც ეს არის, გამოდის, რომ ჩემპიონატის თამაშებზე მსაჯებს სფფ დანიშნავს და გარკვეულწილად თავად ჩემპიონატსაც გაუწევს კურირებას. ეს კი ნამდვილად არ მიანიშნებს პროფესიული ლიგის დამოუკიდებლობაზე. მოკლედ, პროექტით ფედერაცია ჩემპიონატის მართვის სადავეებს არ კარგავს, პროფესიულ გზაზე შემდგარ კლუბებს კი ფინანსურ თავსატეხს რა დაულევს — ძნელი სათქმელია, რომ ლიგის სპონსორობის მსურველმა სიხარულით მიაკაკუნოს კლუბთა კავშირის კარზე.

პროფესიული ლიგის ჩამოყალიბების პროცესს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი ლერი სულაბერიძე და „ტორპედოს“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიმა რამიშვილი უხელმძღვანელებენ. უცნაურია, მაგრამ კურატორთა შორის ვერ მოხვდა თავად ლევან ყიფიანი, რომელიც პროფესიული ლიგის ნიუანსებში ურიგოდ არ ერკვევა.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ რამდენიმე დღეა, ხმა გავრცელდა, ფედერაცია ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობის გაზრდას აპირებს და პირველ ლიგაში მოთამაშე ზოგ შეძლებულს შანსი ეძლევაო. თუმცა, როგორც ჩანს, გამორიცხულია, რომ საახალსეზონოდ ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდოს. ამას სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიას სიტყვები მოწმობს — არ ვიცი, სხვა რას ფიქრობს, მაგრამ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის შანსი არ არის. უფრო აქტუალური შემცირებაზე საუბარი იქნებოდა. ზოგი უმაღლესლიგელის ხელმოკლეობის გათვალისწინებით, ჩემი ნება რომ იყოს, სულაც რვაგუნდიან ჩემპიონატს ჩავატარებდით, თქვა ვალერი ჩოლარიამ.

**ბაატა ძგანტალიანი**





ზოგი კლუბის სტადიონი სანაკრებო თამაშისთვისაც გამოდგება, ზოგან კი, თუ წამოწვიმა...

# დინამო გერმანიიდან ცარიელ ეროვნულზე დაბრუნდება

**საქართველოს** ჩემპიონი თბილისის „დინამო“ შვებულებაშია, ისვენებს გუნდი მწვრთნელი ივო შუშაკიც, რომელიც ირლანდიური სანაკრებო მატჩის შემდეგ პირდაპირ ხორვატიაში გაემგზავრა და ახლა ოჯახთან ერთად ზღვაზე მზეს ეფიცხება.

დინამოელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას რამდენიმე დღეში, დილმის ბაზაზე მსუბუქი ვარჯიშით დაიწყებენ, 24 ივნისს კი გუდა-ნაბადს აიკრავენ და გერმანულ რუიტს მიაშურებენ, დაბას, რომელსაც ბოლო დროს ხშირად სტუმრობენ. გუნდს იქვე დახვდება ივო შუშაკი. „დინამოს“ რუიტში ოცდღიანი შეკრება აქვს დაგეგმილი რამდენიმე ამხანაგური მატჩით. უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ჩემპიონების მეტოქე 5 ივლისს ბუნდესლიგის „მიუნხენი“ იქნება. გერმანელთა მოთხოვნით ამხანაგური მატჩი ძირითადი შემადგენლობებით ჩატარდება.

ჩვენები რუიტში 11 ივლისამდე დაჰყოფენ, მერე კი ან უკანვე გამოემგზავრებიან ან... მარშრუტი კენჭისყრაზეა დამოკიდებული, ამ პარასკევს გამოვლინდება „დინამოს“ მეტოქე ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე. თბილისელებს თუ პირველი შეხვედრა, რომელიც 16 ივლისაა დანიშნული, სტუმრად მოუხდათ, მაშინ ისინი გზას შინ ჩამოუსვლელად გააგრძელებენ, თუ არადა 11-ში აქ იქნებიან.

შეგახსენებთ, შარშან ჩეხურ „ლიბერეცთან“ მატჩისას თბილისელი ქომაგების უწესობის გამო, „დინამო“ წლეულს, პირველივე საშინაო საერთაშორისო მატჩს „ეროვნულზე“ ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებს.

**კობა ინასარიძე**



შარშანდელმა ექსცესებმა „ლიბერეცთან“ მატჩისას „დინამო“ წლეულს ერთი თამაშით უქომაგოდ დატოვა

# კონკურსი

## საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

2004 წელს ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირი — უეფა აღნიშნავს დაარსებიდან 50 წლისთავის. ამასთან დაკავშირებით, უეფამ მის 52 წევრ ასოციაციას სთხოვა დაასახელონ თავისი ქვეყნის ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ბოლო 50 წლის განმავლობაში (1954 წლიდან).

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს რეფერენდუმს. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. ამისთვის საჭიროა თქვენ დაასახელოთ სამი საუკეთესო ფეხბურთელი ბოლო 50 წლის განმავლობაში და გამოგზავნოთ წერილობით მისამართზე: თბილისი, 380062, ი. ჭავჭავაძის გამზ. 75ა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პასუხების გამოგზავნის ბოლო ვადაა 30 ივლისი.

თქვენს მიერ პირველ ნომრად დასახელებულ ფეხბურთელს დაერიცხება 3 ქულა, მეორეს — 2, მესამეს — 1. რეფერენდუმის შედეგად პირველ სამ ადგილზე გასული ფეხბურთელიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი აირჩევს ერთს, რომელიც დასახელებული იქნება საქართველოს ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად და ამის შესახებ ინფორმირებული იქნება უეფა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**

### ჰოლანდია

პლეი ოფი
V ტური

ემენი 2:0 ვოლენდამი

დენ ბოსხი 1:1 ზვოლე

ჰელმონდი 2:0 იგლსი

ჰერაკლესი 0:2 ექსელსიორი

### შვედეთი

X ტური

აიკ 0:2 ჰელსინგბორგი

ენკიოპინგი 1:1 ელფსბორგი

გიოტებორგი 4:0 იორებრო

### ნორვეგია

X ტური

ვოლერენგა 3:0 ბრინი

# შუშაკი განაჩენს კედელზე აკრავს

## მწვრთნელმა ქინქლაძეს სხვა კუთხეში დაურტყა




ბადრი ქათილაძის ფოტო

არველაძე, შუშაკი, ქინქლაძე... შოთამ მწვრთნელთან ურთიერთობა მოაწესრიგა, რას იზამს გიო?

*— ივო შუშაკს თბილისიდან დუბლინში გამგზავრებამდე ჰქონდა მოფიქრებული და გადაწყვეტილი, ვის ათამაშებდა ძირითადში. უკვე 10 წელიწადია, ეროვნული გუნდის ფეხბურთელად ვითვლები და ვფიქრობ, მწვრთნელს ჩემთვის წინასწარვე უნდა ეთქვა, ვიყავი შემადგენლობაში თუ არა — ამბობს გიორგი ქინქლაძე, რომელიც 11 ივნისის მატჩისთვის საქართველოს ნაკრებში იყო, მაგრამ თავისივე სურვილით გუნდს ზედ თამაშის წინ გამოაკლდა*

**რატომ იყო** საქართველოს ნაკრების განაცხადში 17 ფეხბურთელი? რატომ არ გაჰყვა ქინქლაძე გუნდს „ლენსდაუნ როუდზე" და რატომ დარჩა ის სასტუმროში? რა მოხდა თამაშის წინ „ბალსბრიჯ ოტელში"?

საერთოდ, როცა შუშაკი კონკრეტული მატჩისთვის შემადგენლობას მოიფიქრებს, ის ფეხბურთელთა გვარებს ამპლუების მიხედვით ჩამოწერს და თანაშემწის ხელით დაფაზე აკრავს. თანაშემწევე ავალებს ფეხბურთელთა დარბაზში შეკრებას. ჩვეულებრივ, შემადგენლობის გამოცხადება მატჩამდე 6-7 საათით ადრე ხდება. ფეხბურთელები დაფაზე თავიანთ გვარებსა და სათამაშო პოზიციას კითხულობენ, მერე მწვრთნელი შეგირდებს დავალებებს აძლევს და სათადარიგოებს ბოლოსკენ ასახელებს.

დუბლინური მატჩის ძირითადი შემადგენლობა შუშაკს 11 ივნისს პირველის ნახევარზე უნდა გამოემზეურებინა. 12 საათისთვის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები უკვე სასტუმროს ჰოლში იკრიბებოდნენ და მწვრთნელს ელოდნენ. ზუსტად დათქმულ დროს შუშაკი დარბაზში შევიდა, მას შეგირდებიც მიჰყვნენ. სათადარიგოთა ჩამოთვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან თამაშისთვის ისედაც 18 ფეხბურთელი ემზადებოდა. 11 ძირითადის იქნებოდა, შვიდიც — სათადარიგო. იყო მეცხრამეტეც, იაშვილი, მაგრამ მისი თამაში ავადმყოფობის გამო წინა სადამოსვე გამოირიცხა. ერთი სიტყვით, პირველის ნახევარზე მწვრთნელმა ბიჭები შეკრიბა და ძირითადი შემადგენლობა გამოაცხადა. დაახლოებით ნახევარი საათი კი თეორიამ წაიღო. ფეხბურთელები დარბაზიდან ნელნელა გამოვიდნენ და იქვე სასადილოდ შევიდნენ. გიორგი ქინქლაძეს უკმაყოფილო სახე ჰქონდა. იოლი მისახვედრი იყო — ის ძირითადში ვერ მოხვდა, ესე იგი, სათადარიგოდ დარჩა. არადა, წინა დღის დუბლინურ რეპორტაჟშიც ვწერდი, ბევრს ეგონა, რომ ის მატჩს დაიწყებდა.

ფეხბურთელებმა ისადილეს, მოისვენეს და უკვე მატჩზე გამგზავრების დროა — ექვსის ნახევარი. ბიჭები ფოიეში იკრიბებიან, ქინქლაძე კი არ ჩანს. ძირითადი შემადგენლობა ყველამ იცის — ქინქლაძე სათადარიგოთა შორისაა. გუნდი უკვე ავტობუსშია. ისმის ირლანდიაში მცხოვრები ქართველიბის გამამხნევებელი შეძახილები და ავტობუსიც „ლენსდაუნ როუდისკენ" დაიძრა. სად არის ქინქლაძე? — ვკითხულობთ და... ვხედავთ, იგი სასტუმროშია და ნაკრებს ნაღვლიანი თვალებით აცილებს.

მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე პრესლოჟაში გუნდების განაცხადები ჩამოგვირიგეს. ირლანდიას, როგორც წესია, 18 ფეხბურთელი ჰყავს, საქართველოს — 17.

— ჩემთვის ბევრს ნიშნავდა ირლანდიელებთან თამაში, ვგრძნობდი, რომ ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული. საქმეში ჩემს სანახავად რამდენიმე კლუბის წარმომადგენელი იყო დუბლინში ჩამოსული. მსურდა, კარგი თამაშით გუნდსაც დავხმარებოდი და აგენტებისთვის თავი მომეწონებინა. მზად ვიყავი უმაღლესი დონის შეხვედრისთვის. ჩემი ძალა საქართველოს ნაკრებს წაადგებოდა. უფრო სწორად რომ ვთქვა, აგენტებზე არც ვფიქრობდი, ვფიქრობდი მხოლოდ ეროვნულ გუნდზე და იმაზე, რომ ირლანდიაში გამარჯვებით ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რეალური შანსი გვიჩნდებოდა — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ.

მატჩი დამთავრდა. ივო შუშაკმა მასპინძელთა მწვრთნელს დაასწრო და პრესკონფერენცია დაიწყო. „სარბიელის" კითხვა: — რატომ იყო საქართველოს ნაკრების განაცხადში 17 ფეხბურთელი? შუშაკის პასუხი: — იაშვილს გუშინ სიცხემ აუწია და ავადაა, ქინქლაძემ კი ნასადილევს თავი ცუდად იგრძნო, კუჭმა შეაწუხა. მეტი არჩევანი არ გვქონდა. მწვრთნელის პასუხი კორექტულია, თუმც ქართველი ჟურნალისტებისთვის ნამდვილი მიზეზი ისედაც ცხადია:

— როცა ჩემი გვარი ძირითად შემადგენლობაში ვერ ამოვიკითხე, ავირიე, გადავწყვიტე, რომ სათადარიგოთა შორის არ დავმჯდარიყავი. შეიძლება, ზოგს ჩემი ნაბიჯი გაუმართლებლად ეჩვენა, ზოგს — სწორად, ყოველ შემთხვევაში, ვინც მიცნობს, მან იცის, რომ რასაც ვფიქრობ, იმას ვაკეთებ. იმ მომენტში არ შემეძლო სხვანაირად მოქცევა. იმდენად არეული ვიყავი, რომ შემცვლელად მთელი ძალით ვერ ვითამაშებდი, მთლიანად ვერ დავიხარჯებოდი. გუნდს ამით რატომ უნდა ეზარალა? შემცვლელად თამაშისთვის სათანადოდ განწყობა მე არ შემეძლო. დამწყები ფეხბურთელი არ ვარ და ჩემი თავისა სხვებზე უკეთ ვიცი. როცა გავიგე, სათადარიგო ვიყავი, მატჩისთვის კონცენტრაცია დამეკარგა. საწყენია, რომ მწვრთნელი ასეთ პრინციპულ, მნიშვნელოვან შეხვედრაში არ მენდო. არადა, ვფიქრობდი, ნაკრებს ირლანდიასთან გამოვადგებოდი. არ ვამბობ, რომ ვინც დუბლინში ითამაშა, თავი დაზოგა ან რაიმე მსგავსი. ყველამ შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. მაგრამ მაინც, ვინ იცის, რა იქნებოდა, მე რომ მოედანზე ვყოფილიყავი...

მოიგებდა ჩვენი გუნდი დუბლინში ქინქლაძეს რომ ეთამაშა? თქვენ როგორ ფიქრობთ?

— არ ვამბობ, რომ მოვიგებდით, მაგრამ გუნდი ალბათ ცოტა უკეთ ითამაშებდა. ირლანდიიდან რომ სამი ქულა წამოგვეღო, ევროპის ჩემპიონატისკენ გზა გაგვეხსნებოდა და სწორედ ამიტომ მსურდა მეთამაშა. მით უმეტეს, ერთხელაც ვიტყვი, ჩინებულ ფორმაში ვიყავი, მონდომებით ვვარჯიშობდი და მწვრთნელისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიმიცია. სამწუხაროა, რომ შუშაკმა სხვანაირად განსაჯა და ძირითადის მიღმა დამტოვა.

როგორც მატჩის შემდეგ შევიტყვეთ, გიორგი ქინქლაძის სანახავად დუბლინურ შეხვედრას მართლაც ესწრებოდა რამდენიმე ინგლისური კლუბის წარმომადგენელი. ქინქლაძე „ლენდსდაუნზე" არ გამოჩენილა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამ ფეხბურთელის ინგლისურ კარიერას ჩრდილი მიადგა, ან კიდევ ქინქლაძის ნაკრებში თამაში დასრულდა?

გიოს პასუხი:

— დუბლინში მე საქართველოსთვის მსურდა თამაში და არა კარიერისთვის. კარიერაზე ახლა ვფიქრობ და ვიმედოვნებ, ახალ გუნდს მალე გამოვძებნი. დღესდღეობით უკვე ესაა ჩემთვის მნიშვნელოვანი, ნაკრებში ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით, ვნახოთ, გადაწყვეტილება არ მიმიღია...

...დუბლინური მატჩის შემდეგ გიორგი ქინქლაძე მანჩესტერში გაემგზავრა და ჩვენც სწორედ იქ დავუკავშირდით.

**კობა ინასარიძე**

# ლომაია ფიქრობს

## გიორგის სიტყვას კიევში თვის ბოლოს ელიან

*სამდღიანი კიევური ვოიაჟის შემდეგ გუშინ თბილისში დაბრუნდა „ლოკომოტივის" და ეროვნული გუნდის მეკარე გიორგი ლომაია.*

*ჩვენებურ მეკარეს კიევში „დინამოს" პრეზიდენტი იგორ სურკისი პირადად ესაუბრა, დაათვალიერებინეს კლუბის საწვრთნელი ბაზა, დაასწრეს უკრაინული გრანდის პირველი და მეორე გუნდების თამაშებს, დაუკონკრეტეს საკონტრაქტო პირობები, მოსაფიქრებლად თვის ბოლომდე მისცეს დრო და თბილისისკენ გამოისტუმრეს*

ლომაია კიევში სასტუმრო „დნიპროში" ცხოვრობდა, დროც საკმაო ჰქონდა, კიეველთა წინადადებები აეწონ-დაეწონა და პასუხი იქვე ეთქვა, მაგრამ...

— აჩქარება სიკეთეს არ მომიტანს. მართალია, ყველაფრით მოხიბლული დავრჩი, მაგრამ ფიქრის დრო მაქვს, არავინ მაჩქარებს.

ძირითადში თამაშის გარანტია ჩემთვის არავის მოუცია, სხვა მხრივ კი პირობები იდეალურია, ძალიანაც რომ გინდოდეს, ხინჯს ვერ უპოვი. ეგ არის, ორი მეკარის კონკურენციის დაძლევა მმართებს. ამბობენ, ალექსანდრ შოვკოვსკი მიდისო, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. მალე „დინამოც" შვებულებაში გავა და მეც კიეველთა ზარს დაველოდები. უფრო სწორად, ისინი ელოდებიან ჩემს საბოლოო სიტყვას.

— რას ატყობ, როგორი იქნება შენი გადაწყვეტილება?

— კიეველების პირობები „ლოკომოტივისას" რომ სჯობს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. კონკურენციის კი არასდროს მშინებია. ვნახოთ, თუ თვის ბოლომდე ბრიტანული ვარიანტი გამოჩნდა, ხომ კარგი, არადა, უკრაინელთა წინადადებას დავყაბულდები.

— „ლოკომოტივთან" პრობლემები არ იქნება?

— კიევში გამგზავრებამდე აკაკი ჩხაიძემ სიტყვა მომცა, ჩემგან პრობლემები არ შეგექმნებაო, კონტრაქტიც მალე მომთავრდება და თავისუფალი აგენტი ვხდები. ამიტომ ჩემი სარფიანად გაყიდვით რკინიგზელებიც არიან დაინტერესებულნი.

**— კიევში „დინამოსა" და მისი ფარმ-კლუბის მატჩებსაც დაესწარი. კონკურენტების თამაშსაც დააკვირდებოდი.**

— „დინამომ" „არსენალს" 1:0 მოუგო. კარში რევა იდგა, რომელსაც სამუშაო თითქმის არ ჰქონია. ამიტომ მის ოსტატობაზე ბევრსაც ვერაფერს ვიტყვი. „დინამოს" ფარმ-კლუბში კი ქობულეთელი კაკალაძე ვარჯიშობს, აქებენ, თუმც მისი საკითხი საბოლოოდ ჯერაც არ გარკვეულა.

**— სურკისთან რაზე მოილაპარაკე?**

— „დინამოს" პრეზიდენტი პირობებზე მელაპარაკა, იქაურობა გამაცნო და, დანარჩენი შენზეაო, მითხრა. რომ არ სჭირდებოდეს, „დინამო" უცხოელ მეკარეში ფულს არ გადაყრიდა, კიეველები რკინიგზელებს ამ დღეებში მოელაპარაკებიან და თუ უკეთესი ვარიანტი არ გამოჩნდა, უკრაინაში გავემგზავრები.

**მამუკა კვანტალიანი**




ბადრი ქათილაძის ფოტო




სერგო ჭურაძეს „ვიტ ჯორჯიაში“ თამაში აღარ უნდა, გიორგი ადამიას კი ძალიან უნდა, მაგრამ...

# ვიტ ჯორჯიას ინტერგანაცხადი

**21 ივნისის** დილას თბილისური „ვიტ ჯორჯია“ თბილისი-პრაღის რეისით ჩეხეთის დედაქალაქში ჩაფრინდება, იქ მომლოდინე ავტობუსში მოკალათდება და ავსტრიული ლინცის გზას დაადგება. იმავე დღეს ვეტერინარები ოთხვარსკვლავიან სასტუმროში მოეწყობიან, „შვანენშტადტის“ სტადიონზე ივარჯიშებენ და მეორე დღეს ავსტრიულ „პაშინგს“ ინტერტოტოზე გაეჯიბრებიან.

„ვიტ ჯორჯია“ 24-ში შინისკენ გამოსწევს და 28 ივნისის საპასუხო მატჩისთვის მოემზადება. მანამდე კი ორივე გუნდში სიახლეა. ვეტერინართა დიდი მცდელობის მიუხედავად, „პაშინგთან“ საგარეო და საშინაო თამაშში ვერ ითამაშებს ფორვარდი გიორგი ადამია, რომელმაც კოჭი დაიშავა და დღემდე მკურნალობს. ვეტერინართა ბანაკში სავარაუდოდ ვერც მეკარე სერგო ჭურაძეს ვიხილავთ. მას ტრავმა არ აწუხებს, მაგრამ ვიტელთა მწვანე მაისურაზე გული აუცრუებია და თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, თურმე რკინიგზელობა სურს.

ვეტერინართა ბანაკში სხვა ყველა ჯანმრთელადაა და დღეიდან სასტუმრო „საირმეში“ შეკრებაზეც გადავლენ.

ამასობაში მატებაა „პაშინგის“ შემადგენლობაში. ავსტრიული გუნდი აქამდე ლიბეროთი თამაშობდა. ამ ამპლუაში ბელარუსი მეტლიცკი ჰყავდა. სეზონის დამთავრების შემდეგ მეტლიცკი გუნდიდან გაუშვეს, მის ნაცვლად კი გერმანული „ჰამბურგის“ უკანახაზელი მიქაელ ბაური შეიძინეს. ბაური 34 წლისაა და თავის დროზე ავსტრიის ეროვნულ გუნდში 21 მატჩი ჩაუტარებია.

ვიდრე კლუბები საინფორმაციო დაზვერვაში არიან, მანამდე „ვიტ ჯორჯიამ“ ის 22 მუდმივნომრიანი ფეხბურთელი დაასახელა, ვისაც ინტერტოტოზე გამოსცდის. ვეტერინართა ბანაკში ოთხი ახალწვეულია. ჯანი კარნევალიმ „ძმობილ“ თსუ-ს ოთხი მოთამაშე — მეკარე სოსო ჭრიკიშვილი, მცველი აკაკი ქუხილავა, ნახევარმცველი ლევან კვარაცხელია და ფორვარდი ზაზა სახოკია გადაიბირა.

**მამუკა ძმანტალიანი**

**ვიტელთა განაცხადი**

*მეკარეები:* *მირზა მერლანი, სოსო ჭრიკიშვილი, დავით მამარდაშვილი;*

*მცველები:* *დავით იმედაშვილი, ლევან მერებაშვილი, თენგიზ კობიაშვილი, ჯაბა მუჯირი, გიორგი კვახაძე, ოლეგ გველესიანი, აკაკი ქუხილავა, ალექსანდრე ინწკირველი;*

*ნახევარმცველები:* *გიორგი ფეიქრიშვილი, ლევან კვარაცხელია, ლაშა ნოზაძე, პაატა დათუნაიშვილი, დავით დოლიძე, დავით ბოლქვაძე, დავით დიღმელაშვილი, გიორგი ყიფიანი;*

*თავდამსხმელები:* *გიორგი ადამია, ვლადიმერ გოჩაშვილი, ლევან მელქაძე, ზაზა სახოკია, ერეკლე მერებაშვილი, ოთარ მარცვალაძე*

# რევაზ ძოძუაშვილი კუკუშკაში არ ჯდება

**დღეს გადაწყდება**, ჩაიბარებს თუ არა რევაზ ძოძუაშვილი თბილისის „ლოკომოტივს“. რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძე და მწვრთნელი საბოლოო სიტყვას ამ დილით იტყვიან.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებსა და ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წამოსულ ძოძუაშვილს შორის მოლაპარაკება ერთ კვირაზე მეტია, მიმდინარეობს. ისინი თითქოს შეთანხმებულნიც იყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სადღეისოდ ძოძუაშვილის ამბიცია კლუბისაზე მეტია. მწვრთნელს არ სურს ბავშვებით დაკომპლექტებული და ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოთამაშე გუნდის გაძღოლა. არადა, რკინიგზელთა ხელმძღვანელებს მომავალ სეზონში სწორედ ასეთად წარმოუდგენიათ თავიანთი გუნდი.

— ძოძუაშვილი თავის სამწვრთნელო საქმიანობაში მუდამ უმაღლესი მიზნისა და საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდა. მე ამბიცია მაქვს, ვფიქრობ, რომ შემწევს ძალა და უნარი, გუნდი ჩემპიონობისთვის მოვამზადო — გვითხრა გუშინ რევაზ ძოძუაშვილმა — აგერ, თბილისის „დინამო“, იქით ქუთაისის „ტორპედო“, მსურს, ჩემმა გუნდმა მათ კონკურენცია გაუწიოს და ჩემპიონობაში შეეცილოს. მთლად გაახალგაზრდავებული გუნდითა და მაღალი მიზნის უქონლად ეს შეუძლებელია. ამიტომაც ჯერჯერობით თავს ვიკავებ. აკაკი ჩხაიძეს ხვალ კიდევ ერთხელ შევხვდები და თუ ჩემი მიზანი მისთვის მისაღები იქნება, შევთანხმდებით, ჩავიბარებ „ლოკომოტივს“, თუ არა და...

თუ არა და, როგორც შევიტყვეთ, რევაზ ძოძუაშვილს ისრაელის, თურქეთის ერთ-ერთ ცნობილი, ევროსარბიელზე მოთამაშე გუნდი და რუსეთის რამდენიმე კლუბი იწვევს. ძოძუაშვილმა „ლოკომოტივი“ დღეს თუ უარით გაისტუმრა, მისი მომავალი სამუშაო ადგილი მალე გაირკვევა.

**კობა ინასარიძე**



# აბრამიძე თასზე იჯდა

**ვალერი აბრამიძემ** დანაპირები შეასრულა და რუსეთის თასის მფლობელი გახდა. ეგ არის, ქართველმა მცველმა „სპარტაკ“ — „როსტოვის“ ფინალურ მატჩს ოდენ სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი. დედაქალაქელებმა იგორ ტიტოვის ერთადერთი გოლით აჯობეს „როსტოვს“. ამგვარად, დაბეჩავებული „სპარტაკი“ ამ სეზონში უტიტულოდ მაინც არ დარჩა.

ნამატჩევს „სპარტაკის“ გულშემატკივრებმა საყვარელ გუნდს სტადიონიდან ხმაურიანი გაცილება მოუწყვეს, თუმც ვალერი აბრამიძეს და მის თანაგუნდელებს ავტობუსში კარგა ხანს მოუხდათ ყურყუტი. საქმე ისაა, რომ ავტოგრაფების დარიგებით გართული ტიტოვი ლამის ხვეწნა-მუდარით აიყვანეს ავტობუსში. „ნუ იგორ, პაეხალი“ — თხოვნად იღვრებოდა მძღოლი. გამარჯვებით აღფრთოვანებული კაპიტანიც ამის შემდეგღა შეუერთდა გუნდს.

ცლტაც და, დასრულდება უკრაინის ჩემპიონატი. ფინიშამდე ერთი ტურით ადრე ჩემპიონისა და უეფას თასის საგზურის მფლობელის ვინაობა თითქმის გაირკვა. დონეცკის „შახტარმა“ სიმფეროპოლში დაკარგა ჩემპიონობის ისედაც მცირე შანსი. ვასილ გიგიაძის „ტავრიამ“ გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია დონბასელებს. მატჩი 3:3 დასრულდა, ერთი გოლი კი გიგიაძემ გაიტანა. ეს მისი მეათე ზუსტი გასროლა იყო სეზონში.

„შახტარისთვის“ ფრე იმიტომაც გამოდგა არასასურველი, რომ კიევის „დინამომ“ თანაქალაქელ „არსენალს“ 1:0 მოუგო. ამ მატჩში არ გამოჩენილა „არსენალის“ ბომბარდირი შალვა აფხაზავა.

ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგმა“ კი „ოლექსანდრიას“ აჯობა და მესამე ადგილი შეინარჩუნა. თუ ქართველების გუნდი ბოლო ტურშიც მოიგებს, უეფას თასის საგზურს ვერავინ შეეცილება.

**კახა შალამბერიძე**



ვასილ გიგიაძემ ბოლოსწინა ტურშიც გაიტანა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რუსეთი. თასის ფინალი** | | | | | | | | |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ნ | როსტოვი 1:0 | 0 | სათადარიგო | | | |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ნ | როსტოვი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ნ | სპარტაკი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | სკა ენერგია 1:1 | 26 | შეცვალეს | 10 | 0 | 7 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | სკა ენერგია 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 14 | 1 | 7 |
| ზურაბ არჩვაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | ყუბანი 1:2 | 0 | | 13 | 0 | 13 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | ყუბანი 1:2 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 5 | 13 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | დინამო 1:1 | 64 | შეცვალეს | 14 | 0 | 12 |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | შ | ხიმკი 3:1 | 90 | | 12 | 0 | 4 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | შ | ხიმკი 3:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ოლექსანდრია 1:0 | 68 | შეცვალეს | 21 | 3 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ოლექსანდრია 1:0 | 90 | | 14 | 7 | 3 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | დნიპრო 0:3 | 90 | | 21 | 0 | 10 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | დნიპრო 0:3 | 90 | | 11 | 0 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | შახტარი 3:3 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 27 | 10 | 7 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | შახტარი3:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 1 | 7 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | შახტარი 3:3 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 7 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | კარპატი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 3 | 15 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | დინამო 0:1 | 0 | | 25 | 14 | 5 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | შ | ტამპერე 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 9 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | არმა 6:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 4 | 1 | 2 |
| თამაზ პერტია | არმა | შ | სკონტო 0:6 | 90 | | 10 | 0 | 8 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამბიძე | ბატისი | შ | ვოსტოკი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 17 |
| პაატა გამცემლიძე | ბატისი | შ | ვოსტოკი 1:1 | 90 | | 6 | 0 | 17 |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | შ | ვოსტოკი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 17 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XXXVII ტური

**ატლეტიკო 0:4 რეალი**

0:1 რონალდო (6), 0:2 რაული (17), 0:3 რონალდო (31), 0:4 რაული (73)
ატლეტიკო: ესტებანი, ოტერო (ხორხე 20), კოლომბინი, გარსია კალვო, სერხი, ალბერტინი, აგილერა, ემერსონი, ლუის გარსია (მოვილია 66), ფ. ტორესი, ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი (პავონი 89), ფიგუ (მაკმანამანი 73), მაკელელე, გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: კოლომბინი, სერხი
მსაჯი: პერეს ბურული
58 000 მაყურებელი

**სელტა 3:2 სოსიედადი**

1:0, 2:0 მოსტოვოი (8, 50), 2:1 ნიჰათი (64), 3:1 მიდო (69), 3:2 ნიჰათი (82)
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, ბერიზო, სერხიო, ჯოვანელა, მოსტოვოი (გუსტავო ლოპესი 89), ხოსე იგნასიო, ედუ (ვაგნერი 87), ლუქსენი, მიდო (ხესული 72)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაბი ალონსო (მიკელ ალონსო 76), ხაურეგი, დე პედრო, კარპინი, კოვაჩევიჩი (ხოხლოვი 38), არანზურუ, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: დე პედრო, ხოსე იგნასიო, ლოპეს რეკარტე, ბერიზო, მიდო, ველასკო, კავალიერო
მსაჯი: მეია დავილა
35 000 მაყურებელი

**ბილბაო 3:2 დეპორტივო**

1:0 დელ ორნო (14), 2:0 იესტე (42), 2:1 კაპდევილა (66), 2:2 სერხიო (68), 3:2 ურსაისი (70)
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლაკრუსი (ანტორ ოხოო 73), ლუის პრიეტო, იესტე (ოსკარ ვალესი 70), ალკისა, დელ ორნო, გურპეგი (ტიკო 70), ხ. ეჩებერია, ურსაისი, არიაგა
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, დონატო (დუშერი 71), მაურო სილვა, ფრანი (სკალონი 50), სერხიო, ვალერონი, მაკაი, ვიქტორი (ლუკე 54)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: დელ ორნო
მსაჯი: მედინა კანტალეხო
40 465 მაყურებელი

**ვალენსია 1:3 ბარსელონა**

0:1 მენდიეტა (43პ), 0:2 კლუივერტი (70პ), 0:3 ოვერმარსი (79), 1:3 ხუან სანჩესი (87პ)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, მარჩენა, კარბონი, რეველიერი, ბარახა, კილი გონსალესი (ალბელდა 79), რუფეტე (ხუან სანჩესი 55), აიმარი, დე ლოს სანტოსი (ბორხა 68), კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი, ფ. დე ბური, კოკუ, მენდიეტა (ხერარდი 82), გაბრი, ლუის ენრიკე, სავიოლა (ხორინი 64), კლუივერტი, ოვერმარსი (რიკელმე 79)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: პუიოლი
გაძევება: კარეუ (42), კარბონი (71)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
50 000 მაყურებელი

**უელვა 1:1 მალიორკა**

0:1 ეტოო (33), 1:1 ჟოაო ზინიო (47)
უელვა: ხესარი, ესპინოლა, მერინო, ალექს პერეირა, კუბილიო, ბენიტესი (იკერ ბეგონია 68), ლორენი, კამაჩო, კაიკუ, ბერმეხო (ჟოაო ზინიო 45), რომერო (დავიდ გალეგო 64)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
მალიორკა: მიკი, მიგელ სოლერი (რიერა 59), ფ. ნინიო, კორტესი, პოლი, კამპანო, მარკოსი (პაკო სოლერი 59), ვისენტე (ტუნი 71), აროლდ ლოზანო, კარლოსი, ეტოო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ეტოო, ალექს პერეირა, ვისენტე, ლორენი, ლორენი
გაძევება: ლორენი (67)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
7 000 მაყურებელი

**ბეტისი 4:2 რასინგი**

1:0 ფერნანდო (12), 2:0 ხოაკინი (45), 3:0 დანი (61), 3:1 მუნიტისი (70), 4:1 ასუნსაო (76), 4:2 პაბლო კასარი (83)
ბეტისი: პრატსი, მინგო, ხუანიტო, ბელენგერი, მ. ასუნსაო, ვარელა, ფერნანდო (კანიასი 66), კაპი, იტო, დანი (მალდონადო 78), ხოაკინი (ბენჟამინი 82)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
რასინგი: ბორხა, პაბლო კასარი, ბახარი, მორა, ხუანმა, მატეო, მატაბუენა, ბოდიპო, ხავი გერერო (ნაფტი 71), ხარაბია (რეგუერო 51), მუნიტისი
მწვრთნელი: მუჩი კოსი
გაფრთხილება: მორა, მინგო, მატაბუენა, ვარელა, ხუანიტო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
30 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 2:2 ვილიარეალი**

1:0 მაქსი (23), 1:1 დე ნიგრისი (53), 2:1 ველამასანი (73), 2:2 ხისკო (90)
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, სოლდევილა, ტორიზელი, ხარკე, მორალესი, როხერი (ველამასანი 64), მაქსი, დე ლა პენია (ტამუდო 74), ოსკარი (ფრედსონი 60), მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ვილიარეალი: ლოპეს ვალესი, გალვანი, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, უნაი, ხორხე ლოპესი, ფარინოსი (ფონტი 75), დე ნიგრისი, პალერმო (კიკე მედინა 67), გიარე, კალეხა (ხისკო 67)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: უნაი, დე ლა პენია
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
12 400 მაყურებელი

**მალაგა 3:2 სევილია**

1:0 დარიო სილვა (18), 1:1 რეიესი (34პ), 1:2 ხავი ნავარო (60), 2:2 კანაბალი (73), 3:2 დარიო სილვა (87პ)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, როტეტა, ისნატა, ვალკარსე (რაფა 32), ფ. სანსი, მუსამპა (კანაბალი 67), მანუ, მიგელ ანხელი, სანდრო (ლეკო 72), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავრო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგესი (მახლასი 53), გალიარდო, ვ. სალასი (ტოედტლი 80), მარკოს ვალესი, კასკერო, რეიესი, ანტონიტო (დანიელ ალვესი 70)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: მუსამპა, მიგელ ანხელი, დარიო სილვა, სანსი, კასკერო, სანდრო, კანაბალი, სალასი, როტეტა
გაძევება: კონტრერასი (31)
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
18 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:0 რაიო ვალეკანო**

1:0 აგანსო (53), 2:0 ანტონიო ლოპესი (82პ)
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია (სოუზა 78), ტორეს გომესი, ოსკარ სანჩესი, დ. ჩირიჩი (ხესუსი 45), ჩემა (მორე 46), ანტონიო ლოპესი, აგანსო, ოსკარი, ჯონათანი
მწვრთნელი: ხოსე პეპე მორე
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დე კინტანა, კორინო, გრაფი, მაურო, პაბლო სანსი (კამუნიასი 78), მიჩელი, ასკოიტია (ლუის ხემბრანოსი 53), ელდერი (მორა 86), პერაგონი, ბოლო
მწვრთნელი: ანტონიო ირიონდო
გაფრთხილება: პერაგონი, მაურო, კორინო, კოლსა, დე კინტანა
მსაჯი: პინო სამორანო
6 500 მაყურებელი

**ოსასუნა 4:2 ალავესი**

1:0 ალოიზი (25პ), 1:1 რუბენ ნავარო (36), 2:1 მოა (63), 3:1 ალოიზი (77), 3:2 რუბენ ნავარო (83), 4:2 მოა (85)
ოსასუნა: უნსუე (სანსოლი 75), კრუჩაგა, ხოსეჩო, რივერო, ანტონიო ლოპესი, ალფრედო, პუნიალი (პაბლო გარსია 46), მოა, განსედო (ვალდო 68), ისკიერდო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა, ჯელი, ლორენსი, აბელარდო, ტომიჩი, ასტუდილიო, ტურიელი (მარა 46), რუბენ ნავარო, ივან ალონსო
მწვრთნელი: ჩიჩი არანგურენი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
13 354 მაყურებელი




სელტა — სოსიედადი. ნიჰათმა და „სოსიედადმა“ პეტერ ლუჩინი და „სელტა“ ჩემპიონთა ლიგაში გაატარეს

# აქ გოლი, იქ გოლი

პრიმერადივიზიონის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები იმგვარად დასრულდა, რომ ბოლო ტურში ათიდან მხოლოდ სამ მატჩს შერჩა აზრი. ეს თამაშებია: „ბარსელონა“ — „სელტა“, „რეალი“ — „ბილბაო“ და „სოსიედადი“ — „ატლეტიკო“. ამასთანავე, თუ „რეალმა“ მოიგო, სანსებასტიანური მატჩიც კარგავს აზრს.

ამ ტურში კი გაირკვა, რომ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე მეოთხე გუნდი „სელტა“ იქნება, „ვალენსიას“ კი უეფას თასით მოუწევს დაყაბულება.

და კიდევ: თუ ბოლო ტურში „რეალი“ ფრეს დასჯერდა, „სოსიედადმა“ კი მოიგო, ანუ მათ თანაბარი ქულები დაუგროვდათ, ჩემპიონი „სოსიედადი“ გახდება, რაკი ურთიერთშეხვედრებით სჯაბნის მეტოქეს. ასევე შესაძლებელია, რომ „ბილბაოს“ და „ბარსელონასაც“ თანაბარი ქულები დაუგროვდეთ. ამ შემთხვევაში, უეფას თასზე „ბარსელონა“ ითამაშებს.

ბარემ ისიც დავძინოთ, რომ გაისად პრიმერადივიზიონში „უელვას“, „ალავესის“ და „რაიო ვალეკანოს“ ნაცვლად „მურსია“, „ალბასეტე“ და „სარაგოსა“ ითამაშებენ. ახლა კი გასული უქმეების ამბებს მივხედოთ.

მატჩები, რომლებსაც სატურნირო თვალსაზრისით რამე მნიშვნელობა ჰქონდა, ერთდროულად დაიწყო და პირველი გოლი მადრიდში, „ვისენტე კალდერონზე“ გავიდა — რონალდომ „რეალი“ დააწინაურა და ცხრილში ლიდერად აქცია.

მოგეხსენებათ, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები ინფორმაციის საჭირო ადგილას მიტანის უსწრაფეს საშუალებას იძლევა. ჩვენს შემთხვევაში კი ეს საჭირო ადგილი ვიგო გახლდათ, სადაც სტუმრად ჩასულ სანსებასტიანელებს უკვე აუცილებლად სჭირდებოდათ გოლის გატანა. მაგრამ რა მოხდა: რონალდოს მადრიდული გოლიდან ოთხ წუთში ალექსანდრ მოსტოვოიმ „სოსიედადს“ გაუტანა და უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო.

მოსტოვოის გოლიდან სამ წუთში კი ანგარიში „ბილბაოშიც“ გაიხსნა, ბასკმა ასიერ დელ ორნომ „დეპორტივოს“ გაუტანა, რაც ნიშნავდა, რომ თუ „ბარსა“ ვალენსიაში ვერ მოიგებდა, უეფას თასზე ოცნებას უნდა გამოთხოვებოდა. მაგრამ „ვალენსიამაც“ ხომ იცოდა, რომ „სელტა“ იგებდა? ჰოდა, გამარჯვება მასაც ჰაერივით სჭირდებოდა.

დელ ორნოს გოლიდან ხუთ წუთში „რეალმა“ რაულის ზუსტი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა, რასაც მალევე რონალდომ სეზონში თავისი 21-ე გოლი მიაყოლა და „სოსიედადს“ კონკურენტის დამარცხების იმედი საბოლოოდ გადაუწურა. სანსებასტიანელებს ერთი ფარსაგი საქმეც დაემართათ — მადრიდში რონალდოს მეორე გოლიდან ერთ წუთში მთავარმეგოლე დარკო კოვაჩევიჩი დაემტვრათ და „სელტასთან“ ჩამორჩენის აღმოფხვრა უფრო საძნელო საქმედ გაუხდათ.

მატჩების დაწყებიდან 44-ე წუთზე ორი მნიშვნელოვანი რამ მოხდა: ბილბაოში ფრანსისკო იესტემ მეორე გოლი გაიტანა, ვალენსიაში კი კარლოს მარჩენამ გაისკა მენდიეტა საპენალტედ წააქცია. ამ წაქცევას კი, თავის მხრივ, მენდიეტასვე გოლი და იონ კარეუს გაძევება მოჰყვა, რომელმაც მსაჯს მეტისმეტად უხეში ფორმით მოსთხოვა პენალტის გაუქმება.

პირველი ტაიმები დამთავრდა და უკვე მაშინ გათამაშების ცხრილს ის სახე ჰქონდა, როგორც ახლა აქვს.

მეორე ტაიმები ვიგოში მოსტოვოის მეორე გოლით დაიწყო, რამაც „სელტას“ გარდა „რეალსაც“ ორმაგად გაუხალისა გუნება.

65-ე წუთზე დეპორტივოელმა ხუან კაპდევილამ ბილბაოში ერთი ბურთის გატანა მოახერხა, რამაც „ბარსას“ იმედი მისცა, ეგებ „ბილბაომ“ ვერ მოიგოსო.

ამ გოლიდან ორ წუთში კი ნიჰათმა შეუმცირა ანგარიში „სელტას“, რაც უკვე „ვალენსიას“ იმედიანობის საბაბი გახდა, ხოლო, როცა ერთ წუთში „დეპორმა“ ბილბაოში გაათანაბრა, „ბარსამ“ შვებით ამოისუნთქა.

ყველაზე უხვამბიანი კი 71-ე წუთი გამოდგა: ისმაელ ურსაისმა „ბილბაოს“ გამარჯვებისა შეაგდო, „სელტას“ ეგვიპტელმა ფორვარდმა მიდომაც გაიტანა, რითაც „სოსიედადს“ თამაშის გადარჩენის იმედი გადაუწურა, ხოლო „მესტალიაზე“ ამადეო კარბონიმ თავის საჯარიმოში ლუის ენრიკე დასცა, რაც შემდეგ წუთზე კლუივერტის პენალტით დასრულდა.

ამის მერე კიდევ რამდენიმე გოლი გავიდა, რომლებმაც ვერაფერი შეცვალეს. და ერთიც: „სელტა“ პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 37 | 21 | 12 | 4 | 83:41 | 42 | 75 | 18 | 12 | 5 | 1 | 49:21 | 28 | 41 | 19 | 9 | 7 | 3 | 34:20 | 14 | 34 |
| 2 | სოსიედადი | 37 | 21 | 10 | 6 | 68:45 | 23 | 73 | 18 | 12 | 6 | 0 | 38:18 | 20 | 42 | 19 | 9 | 4 | 6 | 30:27 | 3 | 31 |
| 3 | დეპორტივო | 37 | 21 | 6 | 10 | 65:46 | 19 | 69 | 18 | 12 | 3 | 3 | 39:17 | 22 | 39 | 19 | 9 | 3 | 7 | 26:29 | -3 | 30 |
| 4 | სელტა | 37 | 17 | 10 | 10 | 45:34 | 11 | 61 | 19 | 10 | 6 | 3 | 29:15 | 14 | 36 | 18 | 7 | 4 | 7 | 16:19 | -3 | 25 |
| 5 | ვალენსია | 37 | 16 | 9 | 12 | 53:35 | 18 | 57 | 19 | 10 | 3 | 6 | 30:15 | 15 | 33 | 18 | 6 | 6 | 6 | 23:20 | 3 | 24 |
| 6 | ბილბაო | 37 | 15 | 10 | 12 | 62:58 | 4 | 55 | 19 | 11 | 3 | 5 | 30:20 | 10 | 36 | 18 | 4 | 7 | 7 | 32:38 | -6 | 19 |
| 7 | ბარსელონა | 37 | 14 | 11 | 12 | 61:47 | 14 | 53 | 18 | 9 | 5 | 4 | 41:24 | 17 | 32 | 19 | 5 | 6 | 8 | 20:23 | -3 | 21 |
| 8 | ბეტისი | 37 | 13 | 12 | 12 | 51:51 | 0 | 51 | 19 | 9 | 6 | 4 | 30:20 | 10 | 33 | 18 | 4 | 6 | 8 | 21:31 | -10 | 18 |
| 9 | სევილია | 37 | 13 | 11 | 13 | 38:36 | 2 | 50 | 18 | 8 | 7 | 3 | 24:16 | 8 | 31 | 19 | 5 | 4 | 10 | 14:20 | -6 | 19 |
| 10 | მალიორკა | 37 | 13 | 10 | 14 | 48:56 | -8 | 49 | 18 | 6 | 5 | 7 | 24:33 | -9 | 23 | 19 | 7 | 5 | 7 | 24:23 | 1 | 26 |
| 11 | ატლეტიკო | 37 | 12 | 11 | 14 | 51:53 | -2 | 47 | 19 | 8 | 5 | 6 | 28:25 | 3 | 29 | 18 | 4 | 6 | 8 | 23:28 | -5 | 18 |
| 12 | მალაგა | 37 | 11 | 13 | 13 | 44:48 | -4 | 46 | 19 | 8 | 7 | 4 | 29:21 | 8 | 31 | 18 | 3 | 6 | 9 | 15:27 | -12 | 15 |
| 13 | ვალიადოლიდი | 37 | 12 | 9 | 16 | 36:39 | -3 | 45 | 19 | 9 | 4 | 6 | 23:17 | 6 | 31 | 18 | 3 | 5 | 10 | 13:22 | -9 | 14 |
| 14 | ვილიარეალი | 37 | 11 | 12 | 14 | 42:48 | -6 | 45 | 18 | 8 | 5 | 5 | 23:17 | 6 | 29 | 19 | 3 | 7 | 9 | 19:31 | -12 | 16 |
| 15 | რასინგი | 37 | 13 | 5 | 19 | 52:61 | -9 | 44 | 18 | 9 | 2 | 7 | 27:19 | 8 | 29 | 19 | 4 | 3 | 12 | 25:42 | -17 | 15 |
| 16 | ოსასუნა | 37 | 11 | 11 | 15 | 37:46 | -9 | 44 | 19 | 8 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 27 | 18 | 3 | 8 | 7 | 15:22 | -7 | 17 |
| 17 | ესპანიოლი | 37 | 10 | 13 | 14 | 47:52 | -5 | 43 | 19 | 8 | 6 | 5 | 30:23 | 7 | 30 | 18 | 2 | 7 | 9 | 17:29 | -12 | 13 |
| 18 | უელვა | 37 | 8 | 11 | 18 | 35:61 | -26 | 35 | 19 | 5 | 8 | 6 | 24:24 | 0 | 23 | 18 | 3 | 3 | 12 | 11:37 | -26 | 12 |
| 19 | ალავესი | 37 | 8 | 10 | 19 | 37:67 | -30 | 34 | 18 | 5 | 7 | 6 | 17:19 | -2 | 22 | 19 | 3 | 3 | 13 | 20:48 | -28 | 12 |
| 20 | რაიო | 37 | 7 | 10 | 20 | 31:62 | -31 | 31 | 18 | 4 | 7 | 7 | 17:24 | -7 | 19 | 19 | 3 | 3 | 13 | 14:38 | -24 | 12 |

*თანაბარქულიანი გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს*

**XXXVII ტური**

22 ივნისი

ალავესი — ვალიადოლიდი
რასინგი — ოსასუნა
ვილიარეალი — ბეტისი
დეპორტივო — ესპანიოლი
რეალი — ბილბაო
სოსიედადი — ატლეტიკო
ბარსელონა — სელტა
სევილია — ვალენსია
მალიორკა — მალაგა
რაიო ვალეკანო — უელვა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 28 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 22 |
| რონალდო (რეალი) | 21 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 19 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |

### სეგუნდადივიზიონი
### XL ტური

**ტენერიფე 2:1 მურსია**
1:0 კორონა (18), 1:1 ისმაელი (63), 2:1 კიკო ტორესი (76)

**ნუმანსია 0:1 ლას პალმასი**
0:1 ლიმა (24)

**ხეტაფე 2:0 პოლი ეხიდო**
1:0 ვივარ დორადო (45), 2:0 მიჩელ I (77)

**ფეროლი 1:0 ლევანტე**
1:0 კუელიარი (90)

**ეიბარი 1:1 სპორტინგი**
0:1 ბორეგერო (55), 1:1 ენეკო (90პ)

**ალმერია 0:2 ლეგანესი**
0:1, 0:2 კალანდრია (4, 43)

**სარაგოსა 1:1 ალბასეტე**
1:0 იორდი (60), 1:1 ბასტი (80)

**კომპოსტელა 1:2 კორდობა**
1:0 ადრიანო (44), 1:1 რამზი (61), 1:2 ალფონსო (90)

**ოვიედო 0:3 სალამანკა**
0:1 ნან რიბერა (25), 0:2 კაკია (78), 0:3 პეპე დომინგო (88)

**ბადახოსი 2:3 ელჩე**
0:1 სანტამარია (3), 1:1 ლეანდრო (39), 2:1 კიდონჩა (47), 2:2, 2:3 ნინო (52, 70)

**ტერასა 2:0 ხერესი**
1:0 გიბანელი (41), 2:0 ნავასი (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 40 | 22 | 10 | 8 | 54:21 | 76 |
| ალბასეტე | 40 | 17 | 20 | 3 | 51:27 | 71 |
| სარაგოსა | 40 | 20 | 11 | 9 | 53:37 | 71 |
| ლევანტე | 40 | 15 | 17 | 8 | 54:39 | 62 |
| ლას პალმასი | 40 | 15 | 15 | 10 | 49:42 | 60 |
| ხერესი | 40 | 15 | 13 | 12 | 46:49 | 58 |
| სალამანკა | 40 | 12 | 18 | 10 | 38:30 | 54 |
| ტენერიფე | 40 | 12 | 17 | 11 | 52:39 | 53 |
| ხეტაფე | 40 | 13 | 13 | 14 | 50:51 | 52 |
| ნუმანსია | 40 | 12 | 15 | 13 | 46:47 | 51 |
| ეხიდო | 40 | 12 | 14 | 14 | 35:44 | 50 |
| ელჩე | 40 | 12 | 13 | 15 | 47:47 | 49 |
| სპორტინგი | 40 | 10 | 19 | 11 | 41:41 | 49 |
| კომპოსტელა | 40 | 12 | 13 | 15 | 49:53 | 49 |
| ლეგანესი | 40 | 11 | 15 | 14 | 44:48 | 48 |
| ტერასა | 40 | 10 | 18 | 12 | 39:46 | 48 |
| კორდობა | 40 | 11 | 13 | 16 | 34:37 | 46 |
| ალმერია | 40 | 11 | 13 | 16 | 52:62 | 46 |
| ფეროლი | 40 | 11 | 13 | 16 | 40:54 | 46 |
| ეიბარი | 40 | 9 | 17 | 14 | 30:38 | 44 |
| ოვიედო | 40 | 9 | 13 | 18 | 36:56 | 40 |
| ბადახოსი | 40 | 10 | 8 | 22 | 31:63 | 38 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ბარსელონიდან

# ბასტა: ლაპორტა

## არჩევნები ბექემმა მოიგო

*ორი კვირის წინ „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნებში ლუის ბასატის გამარჯვება გადაწყვეტილ ამბად ჩანდა. ერთი კვირის წინ უპირველესი ფავორიტი ისევ ბასატი იყო, თუმცა მას და ხუან ლაპორტას შორის უფსკრულს ნაცვლად მცირე თხრილიღა დარჩა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კი სასწორი ლაპორტას მხარეს გადაიხარა და აი, შედეგებიც: ლაპორტას მხარი კლუბის წევრთა 52.57 პროცენტმა დაუჭირა, ლუის ბასატს კი 31.8 პროცენტი ერგო. და რაკი ამ ორმა ლამის ხმების 85 პროცენტი მოიხვეჭეს, დანარჩენი ოთხი კანდიდატის მონაგარი სათქმელადაც არ ღირს. ისე კი შევნიშნოთ, რომ კლუბის 94 339 წევრიდან არჩევნებში მონაწილეობა 51 600-ზე ოდნავ მეტმა კაცმა მიიღო.*



REUTERS ბარსელონიდან

ადრეც ვწერდით, რომ ლაპორტას მთავარი კოზირი — ფაქტობრივად ერთადერთიც — დევიდ ბექემი გახლდათ, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნებში ინგლისელის გადაბირების სურვილმა გაიმარჯვა.

სიმართლე გითხრათ, ბექემზე ლაპარაკის გაგრძელება არ გვსურს, რადგან მასზე გაუთავებლად შეიძლება თხრობა, ჩვენ კი ლაპორტას გამარჯვებაზე ვლაპარაკობთ. მაგრამ ისიცაა, რომ რამდენიც უნდა ვეცადოთ, ბექემის უხსენებლობა არ გამოგვდის და ამიტომ, შევეცდებით, მოკლედ მოგახსენოთ.

თავიდან კატალონიელებმა ლაპორტას მიერ ბექემზე დაწყებული ლაპარაკი უკბილო ხუმრობად ჩათვალეს და მთელი ყურადღება ლუის ბასატისკენ მიმართეს. მერე კატალონიელებმა შეატყვეს, რომ ლაპორტა სულაც არ ხუმრობდა და ბასატის შემყურე ამომრჩეველთა ნაწილმა მზერა ლაპორტაზე გადაიტანა, ხოლო როცა „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ დაადასტურა, ბექემის გაყიდვა დიახაც, გვსურსო და ლაპორტას სახელიც ახსენეს, ლაპორტას მხარდამჭერთა რაოდენობამ ბასატის მხარდამჭერებს გადასწონა.

ისე, მოგეხსენებათ, დაპირებას შესრულება უნდა და როცა არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე ჟურნალისტებმა შამპანურნაყლაპ ლაპორტას ჰკითხეს, ჰა, როდის მოგყავთ ბექემიო, მან უპასუხა: დღეს ეს დიდი გამარჯვება შემარგეთ და ხვალიდან გაათკეცებული ძალით შევუდგები მუშაობასო.

სხვათა შორის, ლაპორტა და ბასატი თავის დროზე თანამოაზრენი იყვნენ. იმ დროზე მოგახსენებთ, როცა „ბარსელონას“ პრეზიდენტი ძლევამოსილი ხოსეპ ლუის ნუნიესი ბრძანდებოდა. მაშინ ნუნიესს თითქმის საყოველთაო მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, ერთი ორი უკმაყოფილო კაცი არ გამორეულიყო. უკმაყოფილებს თავისი ორგანიზაციაც ჰქონდათ შექმნილი, რომელსაც „ცისფერი სპილო“ ერქვა და რომლის თავმჯდომარეც ახალგაზრდა იურისტი ხუან ლაპორტა იყო. ჰოდა, როცა წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე ნუნიესის მემკვიდრე ხუან გასპარს ლუის ბასატი დაუპირისპირდა, ლაპორტამ საკუთარი კანდიდატურის წამოყენების ნაცვლად ბასატის მხარდაჭერა გადაწყვიტა.

ახლა კი ლაპორტა და ბასატი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

ბექემისგან რა გამოვა, ჯერ კაცმა არ იცის, ის კი ფაქტია, რომ ლაპორტას პრობლემები ისედაც თავზე საყრელად აქვს. რომელი ერთი ვთქვათ: ფილიპ კოკუს და ფრანკ დე ბურს ერთ კვირაში კონტრაქტები უმთავრდებათ და კლუბისგან ახალ შეთავაზებას ელიან, პატრიკ კლუივერტი ხელფასის გაზრდაზე ვაჭრობს; ხუან პაბლო სორინს და გაისკა მენდიეტას იჯარის ვადა ეწურებათ. და ცხადია, გასარკვევია მწვრთნელის საკითხიც — ლაპორტას კომენტარებში ამაზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, რადომირ ანტიჩს პოსტზე აღარ გააჩერებენ.

**გიორგი დარჯანია**



ხუან ლაპორტამ ცოლი ჩაკოცნა და ძველ თანამოაზრე ლუის ბასატს საგარძელი გამოაცალა



REUTERS ბარსელონიდან

# აეროპორტი და დედოფლის დღეობა

### ბარსელონა

ვამბობთ ლაპორტა და ვფიქრობთ — ბექემი?

ხუან ლაპორტამ „ბარსელონას“ პრეზიდენტობა რომ გადაწყვიტა და საარჩევნო მარათონიც დაიწყო — აპრილში, მხარდამჭერთა რაოდენობა კლუბის წევრთა 2,2 პროცენტს ვერაფრით გადააცილა. შემდეგ ლაპორტამ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ დევიდ ბექემის გადმოყვანა ახსენა და თავი რომ ასწია, უკვე 29 პროცენტი უჭერდა მხარს.

კვირას, ბარსელონაში, არჩევნები შედგა. შედეგი ასეთია: ხუან ლაპორტა 52,5 პროცენტი, მისი მთავარი კონკურენტი, ლუის ბასატი — 31,8 პროცენტი.

მაშ ასე, ლაპორტას განცხადებამ ბექემის თაობაზე ფიანამდებობა მოიტანა. უფრო სწორად, თანამდებობა მოიტანა მისმა განცხადებამ, „იუნაიტედს“ ამ საკითხზე უკვე გავურიგდითო და მანჩესტერელთა დასტურმა, მართლაც გაგვირიგდაო. ახლა, პრეზიდენტმა კატალონიის მოსახლეობასა და კლუბის არაკატალონიელ ქომაგებს უნდა დაუმტკიცოს, რომ არ იტყუებოდა — მისი ვიცე, სანდრო როსელი ბექემის აგენტ ტონი სტივენსთან იწყებს მოლაპარაკებას, თუმცა, თავად ლაპორტა ყოველი შემთხვევისთვის თავსაც იზღვევს:

„არასდროს არავის დავპირებივარ ბექემის ყიდვას, მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ ამ საკითხზე „იუნაიტედთან“ მივაღწიე შეთანხმებას“.

და კიდევ: „მომივიდა ხმა, რომ დევიდი განაწყენებულია, რადგან მიაჩნია, რომ საარჩევნოდ გამოიყენეს, მაგრამ მე ვცდილობდი ყველაფერი საიდუმლოდ შემენახა, ეს ჟურნალისტებმა გამოჩხრიკეს და გაახმაანეს მისი ამბავი. მწამს დავარწმუნებ, რომ ჩვენთან უნდა ჩამოვიდეს“.



დევიდ ბექემი

### რეალი

ინგლისური გაზეთი „სანი“ კი კულისებსმიღმა ამბებზეა დაგეშილი და კორესპონდენტებს ყველა მიმართულებით უწერს მივლინებებს, სარდინიაზეც კი. კორესპონდენტები ამართლებენ — სარდინიაზე მივლინებულმა ფოტორეპორტიორმა სენსაციური ფოტოები გადაიღო: იმ დღეებში, როდესაც ბარსელონაში ლაპორტა ბექემური ლოზუნგით არჩევნებს იგებდა, „იუნაიტედის“ დირექტორი დევიდ გილი „რეალის“ წარმომადგენელს პედრო ლოპესს შეხვდა. ამ საქმეში მანჩესტერული კლუბის აღმასრულებელი შეფი, პიტერ კინიონიც მონაწილეობდა — გილი ლივერპულში კერძო თვითმფრინავში ჩაჯდა და ხმელთაშუა ზღვის იმ კუნძულისკენ გაფრინდა, სადაც კინიონი მზეს ეფიცხებოდა, შემდეგ გილი, როგორც გითხარით, ლოპესს შეხვდა (ლოპესი „რეალის“ პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის მარჯვენა ხელია), სამი საათი ეჩურჩულა და ხელის ძმური ჩამორთმევით დაშორდა.

„დიდი სიხარულით შევხვდები ამბავს ბექემის აქ ჩამოსვლის შესახებ. ჩვენ, ფეხბურთელები, მას ძალიან დიდ პატივს ვცემთ“ — ისე, სხვათა შორის განაცხადა რონალდომ, კვირას, ესპანეთის ჩემპიონატში „ატლეტიკოს“ კარში ორი გოლის გატანის შემდეგ.

შეგახსენებთ: მომდევნო სეზონში „რეალი“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, „ბარსელონა“ არა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ 28 წლის ინგლისელი „ბარსაში“ გადავა, საერთაშორისო სარბიელს 29 წლისა დაუბრუნდება.

„სად გადავა დევიდი, „იუნაიტედის“ საქმე არ არის, ეს დევიდის საქმეა“ — განაცხადა ბექემის საქმეთა პატრონმა სააგენტოს შეფმა ჯონ ჰოლმსმა.

### მანჩესტერი

„ამ ისტორიაში ბექემი შუაში ჩადგმულ გოჭს ჰგავს. და როდესაც კაცი კლუბისამდი ერთგულია, ასეთი რამ არ უნდა აკადრო. სხვა თუ არაფერი, დღევანდელ ცხოვრებაში ერთგულება ხომ ძალიან იშვიათია“. — აი, ასე განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდამ, ირლანდიელმა ვარსკვლავმა ჯორჯ ბესტმა, რომელიც ფეხბურთელს ურჩევს არსადაც არ წავიდეს, რადგან ორი წელიწადი კონტრაქტის თანახმად „იუნაიტედში“ აქვს გასატარებელი. 57 წლის დიადი ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში ბექემი თავისუფალი აგენტი გახდება და სადაც მოეპრიანება, იქ გადავა, ისე რომ, „მანჩესტერი“ კაპიკსაც ვერ მიიღებს.

„მას შეუძლია სიტუაცია თავის ნებაზე მართოს. კონტრაქტის დასრულებამდე ჯერ დიდძალი დრო აქვს და თუ სურს, შეუძლია ამ დროის ამოწურვამდე არხეინად იყოს. მე მის ადგილზე გავჯიუტდებოდი. მათამაშებდნენ თუ არა, გამოსავლის მოძებნა მოუწევდათ, და გულწრფელად რომ გითხრათ, გული სწორედ ბექემის დარჩენას მიგრძნობს. იმედი მაქვს, ეს მაინც ორივე მხარეს აძლევს ხელს და... როდესაც „იუნაიტედი“ სისხლში გიზის, წასვლა ძნელია“.

### ბექემი

თავად ვარსკვლავი კი ამერიკიდან დაბრუნდა. ლოს ანჯელესიდან ჩამოფრენილმა მეუღლესთან და შვილებთან ერთად 35 წუთის დაგვიანებით უკანა გასასვლელს მიაშურა და ჰოლში შეკრებილი ჟურნალისტები ხახამშრალი დასტოვა. ბეისბოლის კეპებით მიმავალ ოჯახს „სქაი ნიუზის“ ოპერატორმა უხელთა და რამდენიმე წამიანი კადრი გადაუღო.

აღსანიშნავია, რომ იმ დილით ფეხბურთელმა მნიშვნელოვანი ამბავი შეიტყო: დედოფალ ელიზაბეტის დაბადების დღისთვის მისი გვარ-სახელი იმპერიის ჯილდოთი დაფასებულთა სიაში შეუტანიათ.

„გულწრფელად ბედნიერი ვარ“ — ღიმილით თქვა თავის გზაზე მიმავალმა ბექემმა.

„ჰითროუს“ აეროპორტის წარმომადგენელმა მოგვიანებით პრესას ასეთი რამ განუცხადა: „აეროპორტის ხელმძღვანელთა თათბირზე გადაწყდა, რომ ბექემთა ოჯახის უსაფრთხოების მიზნით მათ გასაყვანად ალტერნატიული კარის გამოყენება სჯობდა“.

ამრიგად, ბექემების სამკვირიანი ამერიკული ვოიაჟი დასრულდა, თუმცა მოგზაურობა ამით არ სრულდება, ოთხშაბათს დევიდი იაპონიისკენ მიეშურება და მალაიზიის, ვიეტნამისა და ტაილანდის მონახულებაც აქვს დაგეგმილი. ამასობაში კი მისი ტრანსფერის საქმეც უნდა გაირკვეს. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ თავისი სურვილის მიხედვით მისი სადაც უნდა იქ გაყიდვა არ შეუძლია. ამბობენ, სიტუაცია მაშინ გაირკვევა, როდესაც ესპანეთის ჩემპიონატი დასრულდებაო, ეს ბატონებო, ერთი კვირის ამბავია.

**ბაჩუნა კედია**



პედრო ლოპესი (მარცხნივ) და დევიდ გილი სარდინიაზე შეხვდნენ და ბექემზე ილაპარაკეს

# იტყუებიან? იტყუებიან!

## მართლა გიჟია დავიდ ტრეზეგე?

დეიან სტანკოვიჩმა არ იცის სად ითამაშებს მომავალი სეზონიდან, ამის მიზეზი კი ის არის, რომ „ლაციოს“ ხელმძღვანელთაგან მასთან არავის უსაუბრია.

„არც სეზონი დასრულდა არავინ შემხმიანებია — თქვა სტანკოვიჩმა — ერთადერთ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის ველაპარაკე და მანაც მხოლოდ ის მკითხრა, „ბრეშასთან“ შეხვედრაში ნატკენი ფეხი როგორ გაქვსო. ამ წუთას ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, თუმც ჩემი მიზანი და სურვილი რომში დარჩენა გახლავთ“.

აღსანიშნავია, რომ სერბი მოთამაშისა და „ლაციოს“ ხელშეკრულებას ერთ წელიწადში ვადა გაუდის, ისიც სათქმელია, რომ „ლაციოს“ ფინანსური კრიზისის გამო იტალიის საუკეთესო კლუბებმა მოსინჯეს ნიადაგი, მათ შორის ყველაზე ცინცხალი „მილანის“ ამბავია, თუმცა სტანკოვიჩის აგენტმა ხმები უარყო. მან განაცხადა:

„კატეგორიულად უარვყოფ ნებისმიერ მოლაპარაკებას „ლაციოსთან“ მოლაპარაკების გარდა, მართალია, ჩვენს მოთხოვნასა და „ლაციოს“ შემოთავაზებულ პირობებს შორის განსხვავებაა, მაგრამ მისი დაძლევა შეუძლებელი არ უნდა იყოს. დეიანს რომში დარჩენა სურს, ეს კლუბი ხომ პრესტიჟულია და თავადაც ცდილობს სტანკოვიჩის შენარჩუნებას“.

ბრაზილიელი სერჟინიოსა და დანიელი მარტინ ლაურსენის შენარჩუნება კი „მილანს“ სურს. დაყრილი ჭორების მიუხედავად, კლუბის ოფიციალურ საინტერნეტო ვებ-გვერდზე წერია: „სერჟინიო და ლაურსენი არ იყიდებიან. მათ გამო არც ახლა მიმდინარეობს ვინმესთან რაიმე მოლაპარაკება და არც მომავალში იგეგმება ასეთი რამ. ამის შესახებ რომ წერენ, იტყუებიან!“

ჭორი კი ისეთი გახლდათ, თითქოს ეს წყვილი „ინტერთან“ სტეფან დალმასა და დანიელ ადანის წყვილში უნდა გაცვლილიყო.

„ერთხელაც ვაცხადებთ, რომ ის 18-19 კაციანი ჯგუფი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო, არ დაიშლება. ახლა საზაფხულო-სატრანსფერო სეზონია და ყოველი მხრიდან ყიდვა-გაყიდვის ყალბი ისტორიები ისმის“ — წერია ვებ-გვერდზე

ლაურსენის შესახებ ჭორი, ალბათ იმიტომ დაირხა, რომ ამ ფეხბურთელს გასული სეზონის მეტი წილი სათადარიგოთა სკამზე გაატარებინეს, თუმცა რაა გასაკვირი, კარლო ანჩელოტი მასზე წინ ხომ პაოლო მალდინისა და ალესანდრო ნესტას აყენებდა. სამაგიეროდ, ამ გარემოებამ სხვა კლუბების ყურადღება მიიპყრო. დაინტერესებულ კლუბებს შორის აღმოჩნდა ინგლისური „ბოლტონიც“, რომელმაც განაცხადა, რომ დანიელზე კარგა ხანია თვალი უჭირავს.

სერჟინიოს შეძენით კი მხოლოდ „ინტერია“ დაინტერესებულიო, მეორე მხრივ, „შავ-ლურჯების“ ინტერესი რომ დიდია, ამას მათი აქტიურობა ადასტურებს — ერთი წლის წინ „ინტერმა“ რამდენჯერმე სცადა ბრაზილიელის გადაბირება.

„მილანის“ სატრანსფერო ჭორ-მართალზე კიდევ იმის თქმა გვსურს, რომ ამ კლუბს „პარმასთან“ ერთიანი სატრანსფერო გეგმა შეუმუშავებია. „შავწითლებსა“ და პარმელებს ყოველთვის ჩინებული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ბოლო წლებში, მას მერე, რაც „პარმაში“ კონსულტანტად „მილანის“ ლეგენდარული მწვრთნელი, არიგო საკი მივიდა, ეს ურთიერთობები განმტკიცდა.

კერძოდ, პარასკევს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და „პარმას“ პატრონმა, სტეფანო ტანციმ დიდი თათბირი გამართეს. ამბობენ, ამ შეხვედრის დროს ყველაზე ხშირად ადრიან მუტუს გვარს აბრუნებდნენო. შეგახსენებთ, ორიოდ დღის წინ „პარმამ“ ხმამაღლა განაცხადა, რომ თუ ვინმეს მუტუს შეძენა სურს, 20 მილიონი გადადებულიც უნდა ჰქონდეს.

„მილანი“ პარმელების მიერ „ბრეშაში“ გასესხებული სტეფან აპიას შეძენასაც ხარბი თვალით უყურებს. აპია „შავ-წითელია“ აზრით ედგარ დავიდსობას გაუწევთ და თავად მოთამაშესაც ფრიად ახარებს „სან სიროზე“ გამოჩენის პერსპექტივა, ამბობს, რუი კოშტას მხარდამხარ თამაშზე ვოცნებობო. სხვათა შორის, 22 წლის აპიას ყიდვაზე ადრე „რომა“ ოცნებობდა, თუმცა, რაც „ლიდს იუნაიტედიდან“ ფრანგი ოლივიე დაკური გადაიყვანა, მოწადინება გაუნელდა.

საპასუხოდ „შავ-წითლები“ პარმაში სამუელ დალა ბონას, 20 წლის მუჰამედ სარისა და თანხის გადაგზავნას აპირებენ.

„მილანივე“ დაინტერესებულია ჰიდეტოში ნაკატას ბედ-იღბლით. საქმე ის გახლავთ, რომ იაპონელმა „პარმაში“ თავისი კარიერა დაასრულა და თვალი ინგლისისკენ უჭირავს. ინგლისურ კლუბებსაც ფრიად სურთ ნაკატას ყიდვა და არა იმიტომ, რომ ნაკატა მოედანზე ციდან ვარსკვლავებს წყვეტს, არამედ იმიტომ, რომ ნაკატას ხათრით იაპონიაში ხალხი მაისურებს და სხვა ატრიბუტიკას იყიდის.

და „მილანს“ რაღად უნდა იაპონელი? იმად, რომ თუ ყავლგასული რივალდო გუნდიდან მართლა წავა, სათადარიგო სკამზე მის მაგივრობას ეს ფეხბურთელი გასწევს.

იტალიის ჩემპიონი, „იუვენტუსი“ კი აცხადებს, რომ თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე და ნახევარმცველი ედგარ დავიდსი ტურინში დარჩებიან — ახალ კონტრაქტებს მოაწერენ ხელს.

„ტრეზეგემ ხელფასის უმნიშვნელოდ გაზრდის გამო ჩვენსავით დიდი კლუბი რომ დატოვოს, გიჟი უნდა იყოს — ხალხურად თქვა „ბებერი ქალბატონის“ სატრანსფერო საქმეთა კვაჭმა ლუჩანო მოჯიმ — ხოლო გუნდი, რომელშიც დავიდი არავითარ შემთხვევაში არ გადავა, „ვალენსიაა“.

მოჯიმ „ვალენსია“ იმიტომ ახსენა, რომ ამბობდნენ, ფრანგი 35 მილიონის სანაცვლოდ ამ გუნდში მიდისო — სატრანსფერო სეზონში ვინ, რას და რა მიზნით ამბობს, ძნელი ამოსაცნობია.

„რაც შეეხება ედგარს, ვიცი, რომ ჩვენთან ყოფნა სურს და მასთან მოლაპარაკებას ივლისში ვაპირებთ“ — დასძინა მოჯიმ.

ფეხბურთელი, რომელიც „იუვენტუსიდან“ ნამდვილად მიდის, მარსელო სალასია. მოჯის თქმით, იგი, ალბათ, „ბარსელონას“ შეუერთდება ორი წლით. სანაცვლოდ „ბებერი ქალბატონი“ არგენტინელ ხუან რომან რიკელმეს გადაყვანას ფიქრობს. „იუვე“ რიკელმეზე კარგა ხანია ოცნებობს, თავის დროზე „ბარსამ“ დაასწრო, თორემ არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ უთუოდ გაურიგდებოდა.

**პაატუნა ძიძია**



დავიდ ტრეზეგე



სტეფან აპია



დეიან სტანკოვიჩი




სერჟინიო

# რომას მოსურნე



აჰმედ მიდო

**ვიგოს** „სელტას“ წლევანდელი პრიმერადივიზიონის ლიდერი „სოსიედადი“ დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვა, მაგრამ შარიანი საფეხბურთო ფორტუნის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. ეს უკანასკნელი ბოლომდე არავის ახეირებს და, შესაბამისად, გალისიელებსაც „გაუნახევრა“ ბასკებთან მოგებული მატჩის სიხარული.

საქმე ისაა, რომ „სელტას“ ეგვიპტელი ვარსკვლავი და „სოსიედადთან“ გოლის გამტანი აჰმედ მიდო იტალიურ „რომას“ მოუხიბლავს და სერია A-ში თამაში მოსურვებია. ჭაბუკი ეგვიპტელი გალისიელებს რონალდ კუმანის „აიაქსმა“ ამ ზამთარში დროებით დაუთმო. ახლა კი მიდო იტალიურ „გაზეტა დელო სპორტს“ გამოუტყდა „რომას“ სიყვარულში. „იტალიური ფეხბურთი ძლიერ მომწონს. სერია A-ს მატჩებს სიამოვნებით ვადევნებ თვალყურს და ვთვლი, რომ „რომა“ ჩემთვის საუკეთესო გუნდი იქნება“ — განუცხადა მიდომ იტალიელებს.

ექსაიაქსელმა რონალდ კუმანზეც თქვა ორიოდ სიტყვა და არც თავისი დღევანდელი კლუბის კეთილად მოხსენიება დავიწყებია: „ჩემი აზრით, ესპანეთში კარგი სეზონი ჩავატარე, „აიაქსში“ კი კუმანთან ურთიერთობა ვერაფრით ავაწყე, „სელტას“ დამრიგებელმა მიგელ ანხელ ლოტინამ შესანიშნავად გამიგო, მისი და გალისური გუნდის მადლიერი ვარ“.

ეგვიპტელმა ფორვარდმა რომაელი ბატისტუტასა და კაპელოს პიროვნული ხიბლიც ახსენა. „ბატისტუტა ჩემი საფეხბურთო კერპია, ფაბიო კაპელო კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ცხადია, იტალიურ-ჰოლანდიური გარიგება უფულოდ და უპრობლემოდ არ ჩაივლის და ეს მიდომაც იცის: „აიაქსი“ 15 მილიონ ევროს ითხოვს, ხოლო „რომა“ ამდენის გადახდას არ აპირებს.

**ლადო ხომერიკი**

# საპრიმერო ამბავი

## სარაგოსამ სეგუნდა ვერ იგუა

**ესპანურ** სეგუნდადივიზიონში სეზონის დასრულებამდე ორი ტური დარჩა და რაღაც-რაღაცეები, ანუ გასავარდნთა ვინაობა, ჯერაც უცნობია, მაგრამ პრიმერადივიზიონში ასული სამივე გუნდი გარკვეულია და ქვემოთ სწორედ მათზე მოგახსენებთ. ესენი არიან: „მურსია“, „სარაგოსა“ და „ალბასეტე“.

„მურსიამ“, ვინც პრიმერადივიზიონის ბინადარი ბოლოს 1989 წელს იყო, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გაინაღდა საუკეთესოთა შორის ყოფნის უფლება, „ალბასეტეს“ და „ლევანტეს“ ამბავი კი წინა შაბათს გადაწყდა, როცა მეოთხეადგილოსანმა „ლევანტემ“ „რასინგ ფეროლთან“ წააგო და დაწინაურებული სამეულისკენ მიუღწეველი შეიქნა.

სხვათა შორის, „სარაგოსა“ და „ალბასეტე“ სწორედ წინა უქმეებზე შეხვდნენ ერთმანეთს, ფრედ ითამაშეს და ისე გაინაღდეს პრიმერადივიზიონში გადასვლა. „ლევანტემ“ კი მათი დაწევის შანსი 90-ე წუთზე გაშვებული გოლის გამოისობით დაკარგა.

„სარაგოსა“ სულ რაღაც ორი წლის წინ სამეფო თასსაც კი ფლობდა, მომდევნო სეზონში კი პრიმერადივიზიონს გამოემშვიდობა, სადაც ზედიზედ ოცდაოთხი სეზონი გაატარა. გავარდნის შემდეგ კლუბს (რომლის სტადიონზეც ესპანეთის ნაკრებმა ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში ბერძნებთან წააგო) მთავარ ფეხბურთელებთან, რობერტო აკუნიასთან და ხოსე იგნასიოსთან გამოთხოვება მოუხდა — პირველი „დეპორტივოში“ გადაბარგდა, მეორე კი „სელტაში“. სარაგოსელებმა სატელევიზიო კონტრაქტებიდან დაკარგული თანხითაც გვარიანად იზარალეს.

მაგრამ „სარაგოსამ“ მაინც მოიკრიფა ძალა — „ბლექბერნ როვერსში“ გასესხებული ფორვარდი იორდი დაიბრუნა, მწვრთნელად კი „ესპანიოლის“ ყოფილი დამრიგებელი პაკო ფლორესი მიიწვია და სეგუნდადივიზიონში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ პრიმერას დაუბრუნდა. სარაგოსელების შემხედვარე რაღა თქვას „ოვიედომ“, რომელიც სულ ახლახან პრიმერადივიზიონში იყო, ახლა კი სეგუნდასაც ემშვიდობება.

„ალბასეტე“ შვიდწლიანი განშორების შემდეგ უბრუნდება პრიმერადივიზიონს, რომელშიც ბოლო სტუმრობისას ხუთი წელი დაჰყო. ალბასეტელთა მთავარი ფეხბურთელები არგენტინელი მეკარე კარლოს როა და ფორვარდი ხესუს პერერა არიან. როამ — არგენტინის ნაკრებისა და „მალიორკას“ ყოფილმა კარის დარაჯმა უზრუნველყო ის ამბავი, რომ გუნდმა ამ სეზონში ოდენ სამი თამაში წააგო, გამარჯვებებში კი „ალბასეტეს“ პერერას 22 გოლიც დაეხმარა.

აღვნიშნოთ, რომ როცა „ალბასეტე“ ამ 12 წლის წინ აღზევდა პრიმერადივიზიონში, პირველივე სეზონში მეშვიდე ადგილზე გავიდა. ახლა კი ბევრად მოკრძალებული მიზანი აქვს. მისი პრეზიდენტი ანხელ კონტრერასი ამბობს, მთავარია, პრიმერაში ადგილი შევინარჩუნოთ და დანარჩენს არ დავეძებო.

„მურსიაზე“ კი იმას მოგახსენებთ, რომ ამ სეზონში სამეფო თასის მეოთხედფინალს უწია, სადაც მხოლოდ სტუმრად გაშვებული მეტი გოლის გამო წააგო „დეპორტივოსთან“. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის.

**გიორგი დარჯანია**



ეგორ ტიტოვის საგოლე თავური

# დალიე და მომაწოდე

## რომანცევმა შამპანურის წვეთები დათვალა

**რუსეთი**

**თასის ფინალი**

**სპარტაკი 1:0 როსტოვი**

1:0 ტიტოვი (28)

ფინალამდე ოლეგ რომანცევმა ფორვარდივით დასწრებაზე ითამაშა. მატჩის წინა დღეს ბაზაზე სახელდახელო ბრიფინგი გამართა და კლუბის პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო მსუბუქად გამოლანძღა.

ორ თვეზე მეტია, მწვრთნელი და პრეზიდენტი ერთმანეთს გაებუტნენ. ანდრეი ჩერვიჩენკო რომანცევის გათავისუფლებას აპირებს, მაგრამ „სპარტაკის" თავკაცმა თადარიგი დაიჭირა. საგანგებო ბრიფინგზე კლუბის მეპატრონე უმოქმედობაში დაადანაშაულა, რათა ფინალურ მატჩში „როსტოვთან" მარცხის შემთხვევაში ქომაგთა მორიგი კრიტიკისგან დაზღვეული ყოფილიყო.

მწვრთნელმა „სპარტაკის" უსუსურობა მთლიანად ჩერვიჩენკოს კისერზე გადაიტანა და თქვა: „გუნდის წარუმატებლობას ბოლო ხანს მე მაბრალებენ. უკვე ჩემს წასვლაზეც ალაპარაკდნენ. ეს ადვილია, მაგრამ „სპარტაკს" გასაჭირში ვერ მივატოვებ. ცხრაგზის ჩემპიონები ვართ და ევროთასების ნახევარფინალებშიც გვითამაშია. ევროპაში სერიოზული წარმატებას სერიოზული დაფინანსება სჭირდება. კლუბში ახალი პრეზიდენტის (ანდრეი ჩერვიჩენკო) მოსვლის შემდეგ უკან-უკან მივდივართ. ასეთ პირობებში უძლური ვარ, არადა, მისი იმედი გვქონდა. ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს და საკუთარ ნამოქმედარზე პასუხი აგოს".

პრეზიდენტმა მწვრთნელის „ლაშქრობის" ამბავი ტელევიზიით შეიტყო და ფინალის შემდეგ ჟურნალისტის პირით უპასუხა: „რა მოხდა, ვერ გავიგე. რომანცევის საქციელი ორი მიზეზით აიხსნება. ან პასუხისმგებლობისა შეეშინდა და თავი დაიზღვია, ან კიდევ ცუდად ეძინა და უხასიათოდ გაიღვიძა. მე მასთან გათავისუფლების შესახებ არ მისაუბრია, ის კი ჭორებს აჰყვა და ავარდა. დამასწრო და დამადანაშაულა. განა ამის შემდეგ ერთად მუშაობას შევძლებთ? ერთ-ერთი ჩვენგანი წავა და ალბათ თვითონ მიხვდებით, ვინ დარჩება. დირექტორატის წევრებს შევკრებ და რომანცევის ყოფნა-არყოფნის საკითხს დავსვამ. მას ჰგონია, რომ ხელუხლებელია და პრეზიდენტს უფლება არ აქვს, მწვრთნელს პრეტენზია წაუყენოს. შემადგენლობის გასაძლიერებლად ფეხბურთელებს მთხოვს და ძუნწობას მაბრალებს. ვინც მთხოვა, ვუყიდე. ახლა ნიგმატულინისა და ბესჩასტნიხის დაბრუნება მოინდომა, ბარემ ვეტერანებიც შევიძინოთ. გუნდს გაახალგაზრდავება სჭირდება, მათი დრო მოვიდა. ამის შესახებ ვუთხარი და ეწყინა".

მწვრთნელ-პრეზიდენტის სიტყვიერი დუელიდან მატჩს დავუბრუნდეთ, რომელიც მოსკოვში „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა.

„სპარტაკი" აქამდე ფინალში სამჯერ გასულა. 1994-ში ცსკა-ს თერთმეტმეტრიანების სერიაში სძლია, 1996-ში „ლოკომოტივთან" 2:3 წააგო, 1998-ში კი ისევ „ლოკომოტივს" გადაეყარა და 1:0 მოუგო.

როსტოველები ფინალში არასოდეს ყოფილან და ეს მათი პირველი მცდელობა გახლდათ.

სპარტაკელებმა თავიდანვე მძლავრად შეუტიეს. ტაიმის მესამედი მათი კარნახით მიმდინარეობდა. დონისპირელთა დაცვა მეტოქის იერიშებს გაჭირვებით, მაგრამ იგერიებდა.

როსტოველებმა ოდნავ რომ ამოისუნთქეს, მოსკოველთა ნახევარი მოინახულეს. აკოფიანცის წამოწყებული შეტევა საჯარიმოში პასით და ადამოვის თავურით დასრულდა. „სპარტაკის" კარში მაროკოელი ბაგის ნაცვლად ზუევი იდგა. ბაგის საოპერაციო მაგიდა ელის. ზუევი ადამოვის მზაკვრულ დარტყმულს ვერ მისწვდებოდა ბურთი კარში რომ წასულიყო, „სახალხო გუნდი" გოლს გადაურჩა.

დაახლოებით წუთის შემდეგ „სპარტაკი" მეკარემ იხსნა. ფეხდასხლეტილი ლუიზაო დაეცა. კანიენდამ ბურთი მოიხელთა და ზუევს პირისპირ გადაეყარა. მაროკოელის შემცვლელი კარიდან დროულად გამოვიდა და კანიენდას აჯობა.

დონისპირელებმა შეტევებს გემო გაუგეს და მეტოქის დაცვა კიდევ რამდენჯერმე ააფორიაქეს. „სპარტაკი" როსტოველებს ჩაუსაფრდა და მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში საწადელს მიაღწია. პავლიუჩენკომ ტიტოვის თავი მონახა და კაპიტნის დარტყმაც უზადო გამოდგა 1:0.

მალე თავად პავლიუჩენკოსაც შეეძლო გატანა. ბარანოვმა იგი ბლიზნიუკთან პირისპირ დატოვა, მაგრამ თავდამსხმელმა ბურთი მეკარესაც გადაავლო და კარსაც.

მეორე ტაიმში გუნდებმა ზურგები მოიშიშვლეს და სტადიონზე შეკრებილ 22-ათასამდე ქომაგს არაერთი გამოუყენებელი საგოლე მომენტი აჩვენეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით როსტოველმა ფეხბურთელებმა [illegible] თხურიდან ჩაწოდებული ბურთის მოსახელთებლად კარიდან გამოფრენილი ზუევი შეცდა. ბურთი მაქსიმოვს მიუვიდა და მან ორიოდ ადლიდან ცარიელ კარში ვერ დაუმიზნა.

დონისპირელები სახიფათო ეპიზოდებს უმეტესად ზუევის შეცდომების ხარჯზე ქმნიდნენ, მაგრამ საბოლოო დარტყმისას თავადვე სცოდავდნენ.

შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე როსტოველი გულშემატკივრები ფეხზე წამოცვივდნენ — მასლოვს უნდა გაეტანა, მაგრამ კოვტუნთან ჯაჯგურში ველარ შეძლო.

„სახალხო გუნდის" მხსნელი ისევ მეკარე გამოდგა. დამატებულ დროში მაქსიმოვმა მოსკოველთა დაცვის შეცდომით ისარგებლა, ზუევთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მაინც ვერ აჯობა.

...გასახდელში ალექსანდრ პავლენკო შამპანურებს ზედიზედ ხსნიდა და იქ მყოფთ წუწავდა. ბლომად სასმელი რომ დაიღვარა, რომანცევმა ფეხბურთელს უსაყვედურა: „საშა, დავლიოთ, დასაღვრელად არ მემეტება".

თასი შამპანურით შეავსეს. ჯერ ტიტოვმა მოწრუპა, მერე ხელიდან ხელში გადაინაცვლა. ბოლოს იური კოვტუნმა ჩაიჭვრიტა თითქმის სავსე თასში, „ძალით მსმელები შეკრებილან" — თქვა და თასს ტუჩებით დააცხრა.

**რუსეთის თასის ყველა მფლობელი**

1993 — „ტორპედო" (მოსკოვი)
1994 — „სპარტაკი" (მოსკოვი)
1995 — „დინამო" (მოსკოვი)
1996 — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
1997 — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
1998 — „სპარტაკი" (მოსკოვი)
1999 — „ზენიტი" (სანკტ პეტერბურგი)
2000 — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
2001 — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
2002 — ცსკა (მოსკოვი)
2003 — „სპარტაკი" (მოსკოვი)

**გაგა ხუციშვილი**



ვასკუ და გამა — ფლამენგო. ელუმ და კასიო ოლივეირამ ბურთს ცერად გახედეს

REUTERS

# რომარიო დაბრუნებულა

**ბრაზილია**

**მე-13 ტური:** ფლუმინენსე — გოიასი 2:3; პონტე პრეტა — გუარანი 0:2; კურიტიბა — ატლ. პარანენსე 2:0; კორინთიანსი — სან პაულუ 1:2; ფორტალეზა — პაისანდუ 1:2; პარანა — ჟუვენტუდე 1:2; გრემიო — ინტერნასიონალი 0:0; სანტოსი — სან კაეტანო 0:1; კრისიუმა — ფიგეირენსე 1:0; ბაია — ვიტორია 2:1; ვასკუ და გამა — ფლამენგო 1:2; კრუზეირო — ატლ. მინეირო 0:0

ბრაზილიის ჩემპიონატის ლიდერმა „კრუზეირომ" გოლი ვერ გაუტანა „ატლეტიკო მინეიროს", თუმცა, თავადაც არ გაუშვია და ბელუ ორიზონტის ამ ორ გუნდს შორის თამაში ფრედ დასრულდა, რითაც „კრუზეირომ" მაინც შეინარჩუნა პირველი ადგილი.

ლიდერის გადასწრების შანსი ჰქონდა „სანტოსს", თუმცა მოულოდნელად წააგო „სან კაეტანოსთან". „ფლუმინენსეს" რიგებში კვლავ გამოჩნდა არაბეთმოვლილი რომარიო და პენალტიც გაიტანა, თუმცა, მისმა გუნდმა მაინც წააგო ბოლო ადგილზე მყოფ „გოიასთან".

გასულ კვირაში კლუბებმა კვლავ შეუტიეს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას, რომელმაც ჩემპიონატის არცერთი თამაში არ გადადო იმის მიუხედავად, რომ მოწინავე გუნდების ფეხბურთელები ნაკრებში არიან გაწვეულნი. მაგალითად, „ატლეტიკო მინეიროსთან" მატჩში „კრუზეიროს" არ ჰყავდა მცველები ედუ დრაჩენა და მაურინიო და ნახევარმცველი ალექსი, კოლუმბიის ნაკრებში კი გაეწვიათ მეგოლე ვიქტორ უგო არისტასაბალი.

„კრუზეირო" — „ატლეტიკო მინეიროს" თამაშის პირველ ნახევარში გამოსარჩევი ის მოხდა, რომ 34-ე წუთზე „მინეიროს" მეკარე ედუარდომ პენალტი აულო დეივიდს, ორ წუთში კი პენალტის ნიშნულიდანვე ფაბიო ჟუნიორმა „კრუზეიროს" კარის ძელს მოარტყა ბურთი.

„კრუზეირო" ნაკლები თამაშითა და ერთი ქულით უსწრებს „სანტოსს", რომელმაც თავისი კაპიტნის დასანანი შეცდომის გამო წააგო „სან კაეტანოსთან". თამაშის დამთავრებამდე ორიოდ წუთი რჩებოდა, როცა სანტოსელთა კაპიტან პაულუ ალმეიდას საჯარიმოს შორიახლოს მოწინააღმდეგის ნახევარმცველმა მინეირომ ბურთი აართვა, რასაც მარსინიოს იოლი გოლი მოჰყვა.

„თამაში ამ შემთხვევამ წაგვაგებინა. იმ ადგილას ბურთის თრევა არ შეიძლება" — თქვა „სანტოსის" მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ.

რომარიო კი ყატარიდან დაბრუნდა იქაურ „ალ სადში" სამთვიანი არცთუ იღბლიანი თამაშის შემდეგ და „ფლუმინენსეშიც" კოშმარული საღამო დაუხვდა მისმა გუნდმა პირველ ნახევარ საათში სამი გოლი გაუშვა მაჩანჩალა „გოიასისგან". სტუმართაგან არაჟომ, დიმბამ და ჟილ ბაიანომ გაიტანეს. ერთი საპასუხო კარლოს ალბერტომ შეაგდო, რომარიომ კი მსაჯის დამატებულ დროში პენალტი გაიტანა, თანაც ისე, რომ მანამდე ბურთს ხეირიანად არც კი შეხებია.

**ლიდერი და მოზდევრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 12 | 7 | 4 | 1 | 29:14 | 25 |
| სანტოსი | 13 | 7 | 3 | 3 | 22:13 | 24 |
| კურიტიბა | 13 | 7 | 2 | 4 | 21:16 | 23 |
| ინტერნასიონალი | 13 | 6 | 3 | 4 | 16:14 | 23 |
| სან პაულუ | 13 | 6 | 4 | 3 | 28:25 | 22 |
| სან კაეტანო | 13 | 5 | 6 | 2 | 15:12 | 21 |
| ატლ. მინეირო | 13 | 5 | 5 | 3 | 22:16 | 20 |
| კორინთიანსი | 13 | 5 | 4 | 4 | 27:17 | 19 |
| გუარანი | 13 | 5 | 3 | 5 | 22:18 | 18 |
| პარანა | 13 | 5 | 3 | 5 | 23:20 | 18 |
| ბაია | 13 | 5 | 3 | 5 | 18:19 | 18 |
| კრისიუმა | 13 | 5 | 3 | 5 | 15:19 | 18 |
| ვიტორია | 13 | 5 | 3 | 5 | 16:21 | 18 |
| ატლ. პარანენსე | 13 | 5 | 2 | 6 | 23:22 | 17 |
| ფლამენგო | 12 | 4 | 5 | 3 | 18:21 | 17 |
| ფლუმინენსე | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | 16 |
| გრემიო | 13 | 4 | 3 | 6 | 15:16 | 15 |
| პაისანდუ | 13 | 4 | 3 | 6 | 24:29 | 15 |
| ვასკუ და გამა | 13 | 3 | 6 | 7 | 19:21 | 15 |
| ფიგეირენსე | 13 | 3 | 5 | 5 | 14:17 | 14 |
| ფორტალეზა | 13 | 3 | 3 | 7 | 13:21 | 12 |
| ჟუვენტუდე | 13 | 2 | 5 | 6 | 11:26 | 14 |
| პონტე პრეტა | 13 | 3 | 5 | 5 | 15:21 | 10 |
| გოიასი | 13 | 2 | 3 | 8 | 23:28 | 9 |

# პორტუ გასამდა

**პორტუგალია**

**თასის ფინალი**

**პორტუ 1:0 ლეირია**

1:0 დერლეი სილვა (63)

პორტუგალიის თასი თორმეტ გუნდს მოუგია. მათ შორის „ბენფიკას" ოცდასამჯერ, „სპორტინგს" ცამეტჯერ, „პორტუმ" კი მეთორმეტედ ალმართა ჯილდო.

უეფას თასის მფლობელმა ლისაბონში „ლეირიას" წინააღმდეგ უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა. მიუხედავად ამისა, მეტოქე პირველ ტაიმში ვერ გატეხა. დეკო სოუზასა და მის ძმათა გარჯა ამაო გამოდგა.

შესვენების შემდეგ „სელტიკის" დამაქცევარმა დერლეი სილვამ „ლეირიას" კარის გასაღები მაინც მონახა და ის ერთი გოლი გაუტანა, გამარჯვებისთვის საკმარისი რომ აღმოჩნდა.

მატჩის მიწურულს მეტოქემ „პორტუს" გააფთრებით კი შეუტია, მაგრამ პორტუგალიის ნაკრების ახალწვეულის, სილას ფერნანდესის ორიოდ სახიფათო მომენტს თუ არ ჩავთვლით, ვიტორ ბაია მეტად არ შეწუხებულა. თავის მხრივ დმიტრი ალენიჩევს სხვაობის გაზრდის შანსი ჰქონდა, თუმც ვერ გამოიყენა.

„პორტუ" ჩემპიონი გახდა, უეფას თასიც მოიგო და ზედ ქვეყნის თასიც დაუმატა. ჟოზე მაურინიუსა და მის გუნდს ბარაქიანი სეზონი ჰქონდათ. ხელმოცარული არც „ლეირია" დარჩენილა. რადგან „პორტუ" ჩემპიონია, „ლეირია" შემოდგომიდან უეფას თასის მაძიებელთა ჯარს შეუერთდება.

**გაგა ხუციშვილი**



ვიტორ ბაიამ ხელი პორტუგალიის თასითაც დაიმშვენა

REUTERS

# ფიქრი ვიეირას დახურდავებაზე
## ბაშთურქს თვალი თოფისკენ გაექცა



პატრიკ ვიეირამ „არსენალს" კონტრაქტი დაუწუნა

ორიოდ კვირის წინ პატრიკ ვიეირა სენეგალში ისვენებდა. მაშინ თქვა, ლონდონში დაბრუნებულს ახალი კონტრაქტი დამხვდება ისეთი პირობებით, როგორზეც ვოცნებობდიო. ფეხბურთელი „ჰაიბერიზე" დაბრუნდა, მაგრამ კონტრაქტი დაიწუნა და ხელი არ მოაწერა. არსენ ვენგერისგან ვიეირას დაყოლიების ყოველგვარი მცდელობა ჯერჯერობით უშედეგოა.

ზოგიერთი ინგლისური წყაროს ცნობით, გამორიცხული არაა, პატრიკ ვიეირა ტრანსფერზე დააყენონ. სანაცვლოდ მიღებული თანხით (დაახლოებით 25 მილიონი გირვანქა) კი ახალი ფეხბურთელები შეიძინონ.

ადრეც გაუწყეთ, რომ „მეთოფეებმა" ლიდსელებს ჰარი კიუელს და მეკარე პოლ რობინსონს დაადგეს თვალი.

„ლიდსის" პრეზიდენტმა ჯონ მაკენზიმ ამ საკითხთან დაკავშირებით თქვა: „ჩვენთან ყველაფერი იდეალურად რომ იყოს, კიუელისა და რობინსონის გაყიდვაზე არც კი ვიფიქრებდით. ამჟამად კლუბს ფინანსურად უჭირს და შესაძლოა, რამდენიმე მოთამაშეს შეველიოთ. ერთი ფეხბურთელი, ლი ბოიერი, მუქთად უკვე დავკარგეთ. მსგავსი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს. კიუელის კონტრაქტს მომავალ წელს ვადა გაუვა და იგი თავისუფალი აგენტი გახდება. თუ მასთან კონტრაქტს ვეღარ გავაგრძელებთ, ვიზარალებთ, ამიტომ ჯობს, ახლა რეალური წინადადებები განვიხილოთ და პოტენციური მყიდველი მოვძებნოთ".

ლონდონის „არსენალი" ლიდსელებს რეი პარლოურს, ფრენსის ჯეფერსსა და 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს, თუმცა ჯონ მაკენზის ყმაწვილი „მეთოფე" ჯერმენ პენანტი ურჩევნია: „უმჯობესია პენანტი და ფული, ვიდრე ცარიელი ჯიბით დარჩენა. ვიმედოვნებ, რომ ლონდონელებთან საბოლოოდ შევთანხმდებით".

„არსენალმა" ცოტაოდენი ფული შესაძლოა მასიმო მორატისაც დასცინცლოს. ჰექტორ რაულ კუპერმა პრეზიდენტს ფლანგელი მოთამაშის შეძენა სთხოვა და ფრედერიკ ლიუნგბერგი დაუსახელა. „შავ-ლურჯები" „მეთოფეებს" შვედის სანაცვლოდ სერჟიო კონსეისაუს სთავაზობენ, თან დასძინეს, ორიოდ მილიონ ევროსაც გამოვაყოლებთო.

ამასობაში ლევერკუზენის „ბაიერის" თურქი, ილდირაი ბაშთურქი გამოტყდა, „არსენალისგან" მეტად მაცდური წინადადება მივიღეო. 24 წლის ფეხბურთელმა აღიარა: „აგენტმა მითხრა, რომ კრისტოფ დაუმი „ფენერბაჰჩეში" მეპატიჟება, მაგრამ სამშობლოში თამაშის პერსპექტივა არ მხიბლავს. ესპანეთიდანაც შემეხმიანნენ, თუმც მე გული უფრო ლონდონისკენ მიმიწევს".

**გაგა ხუციშვილი**

# პრონცმა ხელები დაიშაბანა

**ორი კვირის წინ** „მონაკო" მეორე დივიზიონში რომ ჩააყუდეს, ბევრს ალბათ აღარც ახსოვს.

კლუბის ბოსებმა ფედერაციის ჩინოვნიკთა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს. გარჩევა ხვალ, 18 ივნისსაა დანიშნული, გუნდიდან კი ერთი ფეხბურთელი უკვე წავიდა.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა შაბანი ნონდამ ჩემპიონის ბანაკს მიაშურა. გუშინ იგი ლიონში სამედიცინო შემოწმების გასავლელად უნდა ჩასულიყო.

„ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ ფრანგულ „ეკიპთან" საუბარში ეს ამბავი დაადასტურა, თან დასძინა, ოთხწლიან კონტრაქტს გავაფორმებთო. „ეკიპისავე" ცნობით, ქვეყნის ჩემპიონმა „მონაკოს" 15 მილიონი ევრო ჩაუჩხრიალა.

„ლიონის" მწვრთნელ პოლ ლე გუენი ნონდას სონი ანდერსონის შემცვლელად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, იონ კარეუსა და ანტონი რევეირას ტრანსფერის ვარიანტი ჩაიშალა. „ვალენსია" ორივეს სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ითხოვდა. ფრანგები ნაწილი ფულის სანაცვლოდ სიდნეი გოვუს სთავაზობდნენ. ახლა შაბანი ნონდა უკვე „ლიონშია" და გოვუს შეუწყვილდება.

„მონაკოდან" აბარგებას ნაკრების ნახევარმცველი ჟერომ როტენიც აპირებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდი მეორე დივიზიონიდან პირველში ვერ დაბრუნდება.

„მიჭირს ამის თქმა, მაგრამ იძულებული გავხდები, „მონაკოს" გავეყარო და სხვა გზას ვეწიო. გასულ სეზონში გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა. ფეხბურთელებს წინსვლა და განვითარება სჭირდებათ, მეორე დივიზიონში კი საამისო დონე არ არის" — დაიჩივლა როტენმა.



შაბანი ნონდა „მონაკოდან" უკვე წავიდა, ჟერომ როტენი კი წასვლაზე ფიქრობს



როგორც ჩანს, „მონაკოს" შაბანი ნონდას გარდა რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვა კიდევ მოუწევს, რათა უძლიერესთა შორის ადგილი შეინარჩუნეს.

გამორიცხული არაა, რომ „ლიონისგან" მიღებული 15 მილიონს ერთი ამდენიც დაამატონ და ფედერაციის ჩინოვნიკებს საბანკო გარანტიები მაგიდაზე დაულაგონ. მოკლედ, პრინცის გუნდის ბედი ხვალ გადაწყდება.

**გაგა ხუციშვილი**

## დანია

**სუპერლიგა. XXXI ტური**

ფარუმი — ოლბორგი 1:3; მიდტიულანდი — ორხუსი 1:1; კიოგე — აკადემისკი 2:3; სილკებორგი — ვიბორგი 2:3; ბრონდბიუ — ოდენსე 4:0; ესბიერგი — კოპენჰაგენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 31 | 15 | 11 | 5 | 58:30 | 56 |
| კოპენჰაგენი | 31 | 15 | 10 | 6 | 46:31 | 55 |
| ესბიერგი | 31 | 12 | 10 | 9 | 64:55 | 46 |
| ფარუმი | 31 | 14 | 3 | 14 | 46:57 | 45 |
| მიდტიულანდი | 31 | 11 | 10 | 10 | 45:42 | 43 |
| ოდენსე | 31 | 10 | 12 | 9 | 49:46 | 42 |
| აკადემისკი | 31 | 10 | 11 | 10 | 42:42 | 41 |
| ვიბორგი | 31 | 10 | 10 | 11 | 52:53 | 40 |
| ოლბორგი | 31 | 12 | 4 | 15 | 40:45 | 40 |
| ორჰუსი | 31 | 10 | 9 | 12 | 47:54 | 39 |
| სილკებორგი | 31 | 8 | 9 | 14 | 45:48 | 33 |
| კიოგე | 31 | 8 | 3 | 20 | 43:74 | 27 |

## უკრაინა

29-ე ტური: არსენალი — დინამო 0:1; ტავრია — შახტარი 3:3; მ. ზაპოროჟიე — კარპატი 1:1; მ. დონეცკი — ოლიქსანდრია 1:0; დნიპრო — კრივბასი 3:0; მეტალისტი — ვოლინი 3:1; ჩერნომორეცი — ვორსკლა 2:2; ილიჩევეცი — ობოლონი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 22 | 4 | 3 | 62:18 | 70 |
| შახტარი | 29 | 21 | 4 | 4 | 58:24 | 67 |
| მ. დონეცკი | 29 | 17 | 6 | 6 | 41:26 | 57 |
| დნიპრო | 29 | 17 | 5 | 7 | 43:23 | 56 |
| არსენალი | 29 | 16 | 8 | 5 | 49:22 | 56 |
| ვოლინი | 29 | 12 | 5 | 12 | 33:39 | 41 |
| ტავრია | 29 | 9 | 6 | 14 | 35:49 | 33 |
| ილიჩევეცი | 29 | 8 | 9 | 12 | 33:37 | 33 |
| კარპატი | 29 | 8 | 9 | 12 | 26:35 | 33 |
| ჩერნომორეცი | 29 | 9 | 4 | 16 | 27:43 | 31 |
| კრივბასი | 29 | 8 | 7 | 14 | 23:33 | 31 |
| ვორსკლა | 29 | 8 | 7 | 14 | 25:40 | 31 |
| ოლიქსანდრია | 29 | 7 | 9 | 13 | 24:40 | 30 |
| ობოლონი | 29 | 7 | 7 | 15 | 32:42 | 28 |
| მ. ზაპოროჟიე | 29 | 6 | 7 | 16 | 21:40 | 25 |
| მეტალისტი | 29 | 6 | 5 | 18 | 17:39 | 23 |

## შვედეთი

მე-10 ტური: ჰამარბი — იოსტერი 2:2; ლანდსკრონა — იურგორდენი 1:2; სუნდსვალი — იორგრიტე 0:1. აიკ — ჰელსინგბორგი, ენკოპინგი — ელფსბორგი, გიოტებორგი — იორებრო და მალმიო — ჰალმსტადი *წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არ არის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 10 | 7 | 1 | 2 | 25:7 | 22 |
| ჰამარბი | 10 | 6 | 4 | 0 | 16:8 | 22 |
| აიკ | 9 | 6 | 2 | 1 | 20:9 | 20 |
| იორებრო | 9 | 5 | 1 | 3 | 15:12 | 16 |
| ჰალმსტადი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:12 | 14 |
| ჰელსინგბორგი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:12 | 14 |
| მალმიო | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| ელფსბორგი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:16 | 12 |
| იორგრიტე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:18 | 11 |
| გიოტებორგი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:11 | 9 |
| სუნდსვალი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:14 | 9 |
| ლანდსკრონა | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| იოსტერი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:18 | 8 |
| ენკოპინგი | 9 | 1 | 1 | 7 | 7:21 | 4 |

## ფინეთი

მე-7 ტური: ჰამენლინა — იოკერიტი [illegible]; ალიანსი — მიუპა 1:4; ლაჰტი — ჯაზი 4:2; ჰაკა — ტურკუ 1:0; ინტერი — ჰიკ 1:2; კტპ — ტამპერე 2:1; კუოპიო — იარო 1:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 7 | 6 | 0 | 1 | 17:4 | 18 |
| ალიანსი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:9 | 16 |
| მიუპა | 7 | 4 | 2 | 1 | 14:5 | 14 |
| ჰიკ | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 14 |
| ტურკუ | 7 | 4 | 0 | 3 | 11:8 | 12 |
| ტამპერე | 7 | 4 | 0 | 3 | 10:8 | 12 |
| იოკერიტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:7 | 10 |
| იარო | 7 | 2 | 3 | 2 | 12:10 | 9 |
| კტპ | 7 | 3 | 0 | 4 | 11:12 | 9 |
| ჰამენლინა | 7 | 2 | 3 | 2 | 7:10 | 9 |
| ჯაზი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:16 | 7 |
| ლაჰტი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| ინტერი | 7 | 0 | 2 | 5 | 6:17 | 2 |
| კუოპიო | 7 | 0 | 1 | 6 | 8:24 | 1 |

## ნორვეგია

მე-10 ტური: როსენბორგი — მოლდე 5:0; ალესუნდი — ბოდიო გლიმტი 0:2; ბრანი — სტაბეკი 3:3; სოგნდალი — ოდ გრენლანდი 5:0; ტრომსიო — ლინი 0:1; ვიკინგი — ლილესტრიომი 1:1. ვოლერენგა — ბრინი *წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 10 | 9 | 1 | 0 | 28:5 | 28 |
| სტაბეკი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:11 | 18 |
| ბოდიო გლიმტი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:10 | 18 |
| ვიკინგი | 10 | 4 | 5 | 1 | 18:11 | 17 |
| სოგნდალი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 17 |
| ლინი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:17 | 15 |
| ოდ გრენლანდი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:21 | 14 |
| ბრინი | 9 | 4 | 0 | 5 | 20:14 | 12 |
| მოლდე | 10 | 3 | 2 | 5 | 11:16 | 11 |
| ლილესტრიომი | 10 | 2 | 5 | 3 | 9:15 | 11 |
| ვოლერენგა | 9 | 2 | 3 | 4 | 10:12 | 9 |
| ბრანი | 10 | 1 | 4 | 5 | 10:22 | 7 |
| ალესუნდი | 10 | 0 | 5 | 5 | 12:19 | 5 |
| ტრომსიო | 10 | 1 | 2 | 7 | 14:27 | 5 |

## იტალია

სერია C1/A. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

ალბინოლეფე 4:2 დ.დ.(2:1) პიზა (1:2)

სერია C1/B. პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

პესკარა 2:0 მარტინა (0:0)

## ამხანაგური მატჩები

სამხრეთ აფრიკა 2:1 ტრინიდადი და ტობაგო

1:0 მანიატელა (20), 1:1 კოილი (24ს.კ.), 2:1 მანიატელა (71:3)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# არატიპიური ამბავი
## რეალი ატიპიურ პნევმონიას ეთამაშება

მადრიდის „რეალი" პრიმერადივიზიონში გაჩემპიონებას ეტყობა, უკვე საქმედ მიიჩნევს და საკმაოდ სკანდალური ვოიაჟისთვის ემზადება. სკანდალურიო, ვთქვით და საფუძვლით შესაძლებელია, ამ მოგზაურობას სახიფათოც ვუწოდოთ.

ატიპიური პნევმონიით დალახვრულ-შეშინებულ ჩინეთს ახლახან შეშინებულმა ფიფამ ქალთა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლება წაართვა და ამერიკას გადაულოცა. თვით ისეთი გუნდები, როგორიც ბავარიული „ბაიერნი" და ინგლისური „ლივერპული" არიან, ფრიად შეშფოთდნენ გახულიგნებული გრიპის გამო და ჩინეთში ჩასატარებელი ამხანაგური შეხვედრები გაურკვეველი დროისთვის გადადეს. აი, კასტილიური სამეფო ფლაგმანი კი სერიოზულად აპირებს დიდი კომუნისტურ-კაპიტალისტური კონგლომერატის მიწა-წყალზე ბურთის გაგორებას. „რეალის" წინააღმდეგ ჩინური საუკეთესო კლუბებიდან შეკრებილი „დრაკონთა გუნდი" ითამაშებს. ეს ამხანაგური „შერკინება" 2 აგვისტოს ძველთაძველ ქალაქ პეკინში „ჩუმათა სახელობის სტადიონზე" შედგება.

ჩინეთის ფეხბურთის ფედერაცია და მისი პატივცემული წარმომადგენელი ბატონი (ან გნებავთ ამხანაგი) ჩენ ვეი უკვე მზად არიან სახელოვანი ესპანელების მისაღებად. „ჩვენში ჟურნალისტები და გულშემატკივრები ყოველი სეზონის ბოლოს ადგენენ „დრაკონთა გუნდს" კონტინენტური ჩინეთის, ჰონკონგის, მაკაოსა და ტაივანის საუკეთესო ფეხბურთელთაგან. „დრაკონთა" შემადგენლობა, რომლის უდიდესი ნაწილი ეროვნული და ოლიმპიური ნაკრებების წევრები იქნებიან, საბოლოოდ ივნისის დასასრულს გაირკვევა" — განუცხადა ესპანურ მედიას ბატონმა (ან გნებავთ ამხანაგმა) ჩენ ვეიმ. ჩვენ კი ღავძენთ, რომ „რეალი" პირველი პროფესიული კლუბი იქნება, რომელიც სასიკვდილო ვირუსის აფეთქების შემდეგ აზიურ გოლიათს ეწვევა.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

**ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური**

**21 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | რაიო-სელტა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 24.00 | 002 | რასინგი-ოსასუნა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 003 | დეპორტივო-ესპანიოლი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.00 | 004 | მალიორკა-მალაგა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 22.00 | 005 | სევილია-ვალენსია | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 006 | ვილიარეალი-ბეტისი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 22.00 | 007 | ალავესი-ვალიადოლიდი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 24.00 | 008 | ბარსელონა-სელტა | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| 24.00 | 009 | სოსიედადი-ატლეტიკო | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 24.00 | 010 | რეალი-ბილბაო | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |

**დანია. XXXII ტური**

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 026 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 22.00 | 027 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.00 | 028 | აკადემისკი-ფარუმი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 22.00 | 029 | ოდენსე-სილკებორგი | 1,75 | 3,6 | 3,8 | 1,17 | 1,19 | 1,84 |
| 22.00 | 030 | ვიბორგი-კოგე | 1,4 | 4,4 | 6,5 | 1,06 | 1,15 | 2,62 |
| 22.00 | 031 | ორჰუსი-ესბიერგი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

**რუსეთი. XIV ტური**

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | ზენიტი-მეტალურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 039 | ზენიტი-მეტალურგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 040 | დინამო-ჩერნომორეცი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 041 | დინამო-ჩერნომორეცი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 042 | ტორპედო-ალანია | 1,45 | 3,2 | 6,0 | 1 | 1,16 | 2,08 |
| 19.00 | 043 | ურალანი-ცსკა | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 044 | შინიკი-კრილია | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 19.00 | 045 | სპარტაკი-სატურნი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 19.00 | 046 | რუბინი-როსტსელმაში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 19.00 | 047 | როტორი-ლოკომოტივი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |

**შვედეთი. X ტური**

**17 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 058 | მალმო-ჰალმსტადი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |

**შვედეთი. XI ტური**

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 059 | იოსტერი-იორგრიტე | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |

**ფინეთი. VIII ტური**

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 076 | იარო-ლაჰტი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 077 | იოკერიტი-ჰაკა | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 20.30 | 078 | ტამპერე-ჯაზი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 079 | ტამპერე-ჯაზი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 20.30 | 080 | ტურკუ-ალიანსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 081 | ჰიკ-კტპ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 082 | ჰიკ-კტპ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 20.30 | 083 | მიუპა-კუოპიო | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 084 | მიუპა-კუოპიო 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 085 | ჰაამეენლინა-ინტერი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |

**ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები**

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.40 | 110 | ინდეპენდიენტე-სანტოსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 04.10 | 111 | ამერიკა-ბოკა ხუნიორსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |

**კონფედერაციის თასი**

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 112 | ახალი ზელანდია-იაპონია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 24.00 | 113 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 114 | თურქეთი-აშშ | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 24.00 | 115 | ბრაზილია-კამერუნი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |

**კალათბურთი. იტალია**

**17 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 601 | სკიპერი-ბენეტონი | 1,75 | 12,0 | 1,85 | 1,52 | 1 | 1,6 |

**კალათბურთი. ესპანეთი**

**19 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 603 | ბარსელონა-ვალენსია | 1,35 | 12,0 | 2,6 | 1,21 | 1 | 2,13 |

**კალათბურთი. საბერძნეთი**

**18 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 605 | აეკ-პანათინაიკოსი | 1,65 | 12,0 | 1,95 | 1,45 | 1 | 1,67 |

**კრივი**

**21 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 607 | ლუისი-ვ.კლიჩკო | 1,15 | 12,0 | 4,0 | 1,04 | 1 | 3 |

**ინტერტოტოს თასი**

**21 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 088 | ბანგორი(უელსი)-გლორია(რუმინეთი) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| 20.00 | 089 | ოფკ(სერბეთი)-ტრანსი(ესტონეთი) | 1,3 | 4.6 | 9.0 | 1,01 | 1.13 | 3,04 |
| 20.00 | 090 | შახტიორი(ბელარუსი)-ომაგი(ჩრდ.ირლ.) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1.01 | 1.13 | 3,04 |
| 21.00 | 091 | ბრნო(ჩეხეთი)-კოტაიკი(სომხეთი) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 21.00 | 092 | დინაბურგი(ლატვია)-ვილი(შვეიცარია) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 21.00 | 093 | დუბნიცა(სლოვაკეთი)-ოლიმპიაკოსი(კვიპროსი) | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1.21 | 2,19 |
| 21.00 | 094 | დაჩია(მოლდოვა)-გოტუ(ფარერები) | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 095 | პარტიზანი(ალბანეთი)-მაკაბი(ნეტანია/ისრაელი) | 2,25 | 3.2 | 3,0 | 1.32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 097 | სლობოდა(ბოსნია)-აკურეირი(ისლანდია) | 1,7 | 3.4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 098 | ფეტი(უნგრეთი)-ეთნიკოსი(კვიპროსი) | 1,45 | 3.8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.00 | 099 | ოდრა(პოლონეთი)-შემროკი(ირლანდია) | 1.35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1.15 | 2,75 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 100 | ენკამპი(ანდორა)-ლიერსი(ბელგია) | 14,0 | 6,0 | 1,15 | 4.19 | 1,06 | 1 |
| 19.00 | 101 | ჟალგირისი(ლიტვა)-ორგრიტე(შვედეთი) | 2,4 | 3,2 | 2.7 | 1,37 | 1.27 | 1,46 |
| 20.30 | 102 | კოპერი(სლოვენია)-ზაგრები(ხორვატია) | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1,35 | 1.27 | 1,49 |
| 20.30 | 103 | სუტიესკა(სერბეთი)-უნიონი(ლუქსემბურგი) | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1.03 | 5.2 |
| 20.30 | 104 | ალიანსი(ფინეთი)-ბირკირკარა(მალტა) | 1,15 | 6.0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 21.00 | 105 | პაშინგი(ავსტრია)-ვიტ ჯორჯია(საქართველო) | 1.45 | 3.8 | 6,0 | 1,04 | 1.16 | 2.32 |
| 21.00 | 106 | სპარტაკი(სლოვაკეთი)-პობედა(მაკედონია) | 1.6 | 3,5 | 5.3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 107 | ვიდეოტონი(უნგრეთი)-მარეკი(ბულგარეთი) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1.67 |
| 21.00 | 108 | პოლონია(პოლონეთი)-ტობოლი(ყაზახეთი) | 1.15 | 6.0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4.19 |
| 22.00 | 109 | ტამპერე(ფინეთი)-ჩეახლაული(რუმინეთი) | 2,05 | 3.2 | 3.4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1 კორპუსი

**კროკოს უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | |
| 21.00 | 2201 | ახალი ზელანდია-იაპონია | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2202 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,9 | 1,7 |
| | | **19 ივნისი** | | |
| 22.00 | 2203 | თურქეთი-აშშ | 1,8 | 1,8 |
| 24.00 | 2204 | ბრაზილია-კამერუნი | 1,95 | 1,65 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | |
| 21.00 | 2301 | ახალი ზელანდია-იაპონია | 1,75 | 1,85 |
| 24.00 | 2302 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,8 | 1,8 |
| | | **19 ივნისი** | | |
| 22.00 | 2303 | თურქეთი-აშშ | 1,7 | 1,9 |
| 24.00 | 2304 | ბრაზილია-კამერუნი | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | |
| 21.00 | 2401 | ახალი ზელანდია-იაპონია | 2.6 | 1,5 |
| 24.00 | 2402 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,15 | 4,4 |
| | | **19 ივნისი** | | |
| 22.00 | 2403 | თურქეთი-აშშ | 1,65 | 2.3 |
| 24.00 | 2404 | ბრაზილია-კამერუნი | 1,25 | 3.6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | | | | | | | | |
| 21.00 | 2101 | ახ.ზელანდია-იაპონია | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 24.00 | 2102 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | | | | |
| 22.00 | 2103 | თურქეთი-აშშ | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 24.00 | 2104 | ბრაზილია-კამერუნი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | | |
| 21.00 | 2501 | ახალი ზელანდია-იაპონია | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 24.00 | 2502 | საფრანგეთი-კოლუმბია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **19 ივნისი** | | | |
| 22.00 | 2503 | თურქეთი-აშშ | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 24.00 | 2504 | ბრაზილია-კამერუნი | 3,0 | 2,8 | 2.0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 2001 | ახალი ზელანდია-იაპონია | 4.8 | 2.15 | 2.2 | 1.48 | 1.5 | 1.08 |
| 24.00 | 2002 | საფრანგეთი-კოლუმბია | 1.6 | 2.8 | 7.0 | 1.01 | 1.3 | 2 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 2003 | თურქეთი-აშშ | 2.4 | 2,05 | 4,4 | 1.1 | 1,55 | 1,39 |
| 24.00 | 2004 | ბრაზილია-კამერუნი | 1.8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანბულის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# NBA PLAY OFF ფინალი

## სან ანტონიო 4:2 ნიუ ჯერსი

# სან ანტონიომ და ტიმ დანკანმა ყველას დააფარეს

*ნბა-ს პლეი ოფის ფინალი პროგნოზისამებრ დასრულდა — ზედიზედ მეხუთედ ჩემპიონი დასავლელი გახდა. აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდმა „ნიუ ჯერსი ნეთსმა“ ბოლომდე იბრძოლა, ნბა-ს საუკეთესო გუნდის ოფიციალური წოდება და სხვა საჩემპიონო ამუნიცია კი „სან ანტონიო სფურზს“ შეხვდა. 1999 წლის შემდეგ „სან ანტონიო“ მეორედ გამეფდა და შეუერთდა იმ რვა გუნდს, რომლებიც ორჯერ ან მეტჯერ გამხდარან ჩემპიონები. ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშედ კი მანამდე რეგულარული სეზონის უძვირფასეს მოთამაშედაც აღარებული ტიმ დანკანი დასახელდა, რომელმაც ფინალის ბოლო, მეექვსე შეხვედრაში ნიუჯერსელებს თავს ლამის ოთხმაგი დუბლი დაატეხა.*

### მეხუთე მატჩი

**13 ივნისი. ისტ რეზერფორდი**

**კონტინენტალ ეალაინს არენა**

**ნიუ ჯერსი 83:93 სან ანტონიო**

**18:19, 16:23, 23:24, 26:27**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (29 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), კიტლზი (8), ჯეფერსონი (19), მარტინი (4 ქულა, 9 მოხსნა), კოლინზი (7); უილიამსი (10), ჰარისი (5), როჯერსი (1), მუტომბო

**სან ანტონიო:** პარკერი (14), ჯეკსონი (5), ბოუენი (4), დანკანი (29 ქულა, 17 მოხსნა, 4 დაფარება), რობინსონი (6); როუზი (14), ჯინობილი (12), კერი (6), კლაქსტონი (3), ვილისი

ისევე როგორც ყველა სხვას, ფინალური სერიის მეხუთე მატჩსაც ჰყავს თავისი გმირი. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არ გახლავთ „სფურზის“ 213-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი ტიმ დანკანი, რომელმაც „ნეთსი“ ქულებით, მოხსნებითა და დაფარებებით აიკლო. საზოგადოდ დანკანი ყველა მატჩის გმირია, რომელშიც მონაწილეობს, ანაც ანტიგმირი, გააჩნია, იგებს თუ აგებს მისი გუნდი. „სფურზის“ შედეგი ხომ ძალიან ბევრითაა დამოკიდებული ამ ბავშვისსახიან დევზე.

მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გმირად სულ სხვა მოთამაშის მოხსენიებაა მართებული. ეს დანკანზე დაბალი, სუსტი, მოხუცი, ცოტა ქულის ჩამგდები, ცოტა ბურთის მომხსნელი ვეტერანი სტივ კერი გახლავთ. აწ გასრულებულ პლეი ოფში უკვე მეორედ გვიწევს ამ თეთრთავა სნაიპერის გამორჩევა. სიმართლე გითხრათ, მეტჯერ არც უთამაშია იმდენი ხნით, რომ თვალში მოგვხვედროდა. პირველად მან თავი დასავლეთ კონფერენციის ფინალის ბოლო შეხვედრაში გამოიჩინა, როცა 12 წუთში 4 სამქულიანი ჩაუგდო „დალასს“ და „სან ანტონიო“ ფინალში გაიყვანა.

ამ თამაშში კერმა კიდევ უფრო მცირე ხნით, ოდენ 9 წუთით ითამაშა. ზოგს ეს დრო გასახურებლად სჭირდება, 37 წლის მრავლისმნახველმა გამთამაშებელმა კი ამ ხანში საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

სტივ კერი თამაშში ბოლო მეოთხედის დასაწყისში ჩაერთო და არცთუ დამაჯერებლად — ორი საჯარიმო სროლიდან ერთი გააფუჭა. „სფურზის“ მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი მაინც ბოლომდე ენდო მას და კერმაც არ უმტყუნა.

არადა, მეოთხე თორმეტწუთეულში მოედანზე ცოცხალი მასა და ნერვები დუღდა. ყოველი ქულა უდიდესი შრომის შედეგად მოიპოვებოდა, მეტოქეები ერთმანეთს სროლების გაფუჭებაში „ეჯიბრებოდნენ“. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა 80:76 ანგარიშზე კერმა მკვლელი სამქულიანი გაისროლა. ბურთი ჩავარდა და „სან ანტონიო“ შვიდი ქულით დაწინაურდა. ამ სამქულიანმა კიდევ უფრო გააცოფა „ნიუ ჯერსი“. „ნეთსი“ შინ ბოლო მატჩს თამაშობდა და მიზნად მხოლოდ მოგება დაესახა, მაგრამ კერმა სულ იოლად ჩაფუშა ეს გეგმა. სამქულიანის შემდეგ მან ბურთი ააცალა ნიუჯერსელ კენიონ მარტინს და მანუ ჯინობილის გარღვევაზე გაატანა. „სფურზის“ მომდევნო შეტევაში მან ოთხიოდ მეტრიდან ჩაუგდო „ნეთსს“ და თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე 9 ქულით დააწინაურა თავისი გუნდი. ცხადი გახდა, „სფურზი“ ამ უპირატესობას აღარ დაკარგავდა და ასეც მოხდა.

„ჩემი მთავარი იარაღი გამოცდილებაა — ამბობდა ნამატჩევს სტივ კერი — 15 წელი მითამაშია და ოდნავ რამ მისწავლია, ეს საკუთარი ნერვების კონტროლია. ჩემს პირველ ფინალში, 1996 წელს, ძალიან ვღელავდი და სროლებიც ამიტომ არ მიმდიოდა, მაგრამ მერე იმდენი ფინალი გამოვიარე, ახლა ოდნავადაც არ ვნერვიულობ. კი, შეიძლება, ააცილო კიდეც, მაგრამ ამას წინასწარ არ განიცდი და მთავარიც ესაა.“


REUTERS ისტ რეზერფორდიდან

მოხუცმა სტივ კერმა თავისი ფინალშიც გაისროლა


ტონი პარკერი საჩემპიონო სიგარით

კერისთვის ეს მეხუთე ფინალი იყო. მანამდე მან 1996-98 წლებში „ჩიკაგო ბულზის“ მაისურით იჩემპიონა — სხვათა შორის, 1997 წელს „ჩიკაგომ“ ჩემპიონობა ბოლო წამებზე სწორედ კერის ჩაგდებულით გაიფორმა. ბოლო, მეოთხე ფინალი კერმა 1999 წელს „სან ანტონიოსთან“ ერთად „მოინახულა“.

ორიოდ სიტყვა წაგებულებზეც ვთქვათ. მასპინძლებს ძალიან დააკლდათ მოზვერა თავდამსხმელის კენიონ მარტინის ენერგია. მარტინი იმ დღეს მოედანზე იყო და 38 წუთიც ითამაშა, მაგრამ სიცხით გათანგული საშინლად გაწვალდა, მხოლოდ 4 ქულა გააკეთა, თან 8-ჯერ დაკარგა ბურთი, აქედან 4-ჯერ გადამწყვეტ მეოთხედში.

რაც შეეხება ჯეისონ კიდს, ის ბოლომდე დაიხარჯა და ამ ფინალებში იქნებ საუკეთესო მატჩიც ჩაატარა, მაგრამ... თამაშის შემდეგ ის ამბობდა — „შესაძლოა მე ბოლო მატჩი ვითამაშე ამ მაისურით ამ ტრიბუნების წინ. ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი ვხდები და ჯერ არ ვიცი, დავრჩები თუ არა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მინდოდა, რომ ხალხს კარგად დავემახსოვრებოდი.“ აქვე ვთქვათ, რომ როგორც ამბობენ, ჯეისონ კიდი კარიერას „სან ანტონიოში“ გააგრძელებს.

### მეექვსე მატჩი

**15 ივნისი. სან ანტონიო**

**ესბისი სენთერი**

**სან ანტონიო 88:77 ნიუ ჯერსი**

**17:25, 21:16, 19:22, 31:14**

**სან ანტონიო:** პარკერი (4), ჯეკსონი (17), ბოუენი (2), დანკანი (21 ქულა, 20 მოხსნა, 10 პასი, 8 დაფარება), რობინსონი (13 ქულა, 17 მოხსნა); კლაქსტონი (13), ჯინობილი (11), როუზი (5), კერი (2), ფერი, სმიტი, ვილისი

**ნიუ ჯერსი:** კიდი (21), კიტლზი (16), ჯეფერსონი (13), მარტინი (6 ქულა, 10 მოხსნა), კოლინზი (6); უილიამსი (4), მუტომბო (4), ჯონსონი (4), როჯერსი (3), ჰარისი (2), სლეი, სკალაბრინი

სანამ თავიანთ დაღლილ სხეულებს საჩემპიონო შამპანურით განიბანდნენ, სანანტონიოელები მაგრად გაწვალდნენ. წვალობდნენ მთელი ფინალის განმავლობაში და არაერთხელ ქედიც მოუდრიკეს მათზე ობიექტურად სუსტ „ნიუ ჯერსის“. გაჩნდა ეჭვიც, რომ „სფურზი“ ვერ გახდებოდა ჩემპიონი, მაგრამ, საბოლოოდ მათთვის ყველაფერი კარგად დასრულდა. „სან ანტონიოს“ ეპილოგი სწორედ რომ საჩემპიონო გამოუვიდათ. საუბარია არა თავად ჩემპიონობის ფაქტზე, არა საჩემპიონო ზეიმზე, არამედ ბრწყინვალე თამაშზე, „სფურზმა“ ბოლო მეოთხედში რომ აჩვენა. ხალხი სწორედ ასეთ თამაშს მოელოდა „დეზებისგან“. სანანტონიოელი „დეზები“ კი თავად ეძებდნენ ამ თამაშს და ბოლოს იპოვეს.


REUTERS სან ანტონიოდან

„ადმირალმა“ კარიერა ტრიუმფით დაასრულა

„ესბისი სენთერი“ ლამის დაინგრა, როცა დასასრულის მოახლოებასთან ერთად „სან ანტონიომ“ ბოლო ძალები მოიკრიბა, ტემპს უმატა და „ნიუ ჯერსის“ შტურმი მოუწყო. „ნიუ ჯერსის“ ისევ შეუძლოდ ჰყავდა კენიონ მარტინი, მაგრამ სტუმრები მაინც ლომებივით იბრძოდნენ და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში 9 ქულითაც ლიდერობდნენ. სწორედ მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო:

მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით და 39 წამით ადრე მალიქ როუზი ორ საჯარიმოს აგდებს და შვიდ ქულამდე ამცირებს სხვაობას .65:72.

7:41 — იგივე როუზი სამწამიანი ზონიდან ორქულიანს აგდებს 67:72.

7:11 — მანუ ჯინობილი სამქულიან ხაზსგარეთ მარტოს ტოვებს სტივ ჯეკსონს და ისიც შეუცდომელია — 70:72.

6:34 — ჯეკსონი ამჯერად ტიმ დანკანის პასით აგდებს სამქულიანს, „სან ანტონიო“ 73:72 გადის წინ, და, როგორც შემდგომში ირკვევა, საბოლოოდ.

6:02 — დევიდ რობინსონი — ორქულიანი — 7:72.

5:27 — სპიდი კლაქსტონი ნახტომში აგდებს ორიანს — 77:72.

4:49 — სტივ ჯეკსონი დანკანის პასით თავის მესამე და საბოლოო სამქულიანს ათავსებს კალათში — 80:72.

დაბოლოს:

3:45 — კლაქსტონი ორიანით 82:72 აწინაურებს „სან ანტონიოს“.

ამგვარად, თითქმის ოთხწუთიანი მონაკვეთი „სან ანტონიომ“ 19:0 მოიგო. როგორც ხედავთ, ტიმ დანკანს ქულა არ გაუკეთებია, მაგრამ მან სხვა რამით დაიდო წილი „ნიუ ჯერსის“ რბევაში, კერძოდ, სამი ბურთი მისი პასით ჩავარდა. ეს შეტევაში, დაცვაში კი მან ორი ბურთი მოხსნა და მის სამფლობელოში ანუ ფარქვეშ გზააბნეულ ნიუჯერსელებს სამჯერ დაუფარა.

დანკანი, რაღა თქმა უნდა, ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელდა, ისევე როგორც „დეზების“ პირველი ჩემპიონობისას, 1999 წელს. ამ ტიტულს, როგორც მაშინ, ახლაც მხოლოდ ის იმსახურებდა და სხვა არავინ. ფინალის ფინალური შეხვედრა შთამბეჭდავი გამოუვიდა — 21 ქულა, 20 მოხსნა, 10 პასი და 8 დაფარება. ეს ხომ თითქმის ოთხმაგი დუბლია, რომელიც არათუ ფინალში, რეგულარული ჩემპიონატის რიგით მატჩშიც კი უძნელესი გასაკეთებელია და ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ ოთხ კაცს შეუსრულებია. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი დანკანის მოხუცი თანამებრძოლი დევიდ რობინსონია.

დანკანმა თამაში რიხით დაიწყო და პირველივე შეტევისას დაუფარა მოწინააღმდეგეს. უკვე პირველ ტაიმში მან 14 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი და 5 დაფარება მოაგროვა და ალბათ სწორედ მაშინ განიზრახა ოთხმაგი დუბლის შესრულება. ტიმს სულ ორი დაფარება დააკლდა და უნიკალურ მიღწევამდე. არადა, მის მიერ მოხვეჭილი 8 დაფარებაც რეკორდია, ფინალებში ერთ თამაშში 8 დაფარება ხუთ კალათბურთელს შეუსრულებია, მაგრამ თუკი ამ რეკორდში ჩამზიარებლები მოეძევება, დანკანმა სხვა ისეთი რეკორდი გაჩარხა, რომელიც მანამდე არავის შეუსრულებია. ექვს ფინალურ შეხვედრაში მან ჯამში 32-ჯერ დაუფარა მოწინააღმდეგეებს. ძველი რეკორდი 31 გახლდათ და ის 1994 წლის ფინალის დამარცხებულ გმირ პატრიკ იუინგს ეკუთვნოდა. საბოლოოდ დანკანმა ექვს ფინალურ თამაშში საშუალოდ შეაგროვა 24,1 ქულა, 17,1 მოხსნა, 5,3 პასი და 5,3 დაფარება. ის მხოლოდ პასებში ჩამორჩა ჯეისონ კიდს, დანარჩენ მაჩვენებლებში კი უდავოდ პირველია.

არათუ ფინალი, არამედ სრულიად კარიერაც შთამბეჭდავად დაასრულა 37 წლის — ახლა უკვე თამამად ვიტყვით — ლეგენდამ დევიდ რობინსონმა. თავის ბოლო მატჩში „ადმირალმა“ 13 ქულა და 17 მოხსნა გააკეთა და ისეთ გადასარევ ხასიათზე იყო, ამ ინტელექტუალმა მოედანზე ჯერ კიდევ თამაშის მსვლელობისას ზანგური ანცობები დაიწყო. ერთ ეპიზოდში ამ დრიოულმა კაცმა ჯეელობა გაიხსენა და ფართან მარტო დარჩენილმა ჰაერში 360-გრადუსიანი ბრუნით ჩატენა ბურთი. მატჩის დამთავრებამდე 35 წამით ადრე მწვრთნელმა პოპოვიჩმა მოედნიდან რომ გაიყვანა — რათა გუნდის თორმეტივე მოთამაშისთვის მიეცა მოედანზე შესვლის საშუალება — რობინსონმა სულ მისთვის უჩვეულო მხიარულებით ჩამოუარა თანაგუნდელებს, ზოგს მკერდი აჯახა, ზოგსაც ხელი ჩაურტყა. 19 ათასმა სანანტონიოელმა, რაღა თქმა უნდა, ოვაციით გააცილა.

როგორც ვთქვით, გრეგ პოპოვიჩმა ბოლო თამაშში თორმეტივე მოთამაშე გაიყვანა მოედანზე. თავაზიანობის ამ ჟესტის წყალობით სამი ვეტერანი — სტივ სმიტი, კევინ ვილისი და დენი ფერი თავიანთ პირველ ჩემპიონობას მოედანზე შეხვდნენ. ამათგან პირველმა, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონმა ძველმა ვარსკვლავმა სტივ სმიტმა, რომელიც დამთავრებამდე 35 წამით ადრე შევიდა მოედანზე, თავისი პირველი და ალბათ უკანასკნელი ფინალის პირველი და ალბათ უკანასკნელი წამები ითამაშა.

**ირაკლი ფირაშვილი**




REUTERS სან ანტონიოდან

დამარცხებული „ნიუ ჯერსი“ — კენიონ მარტინი და ჯეისონ კიდი



მანუჩარ მარკოიშვილი სკუდეტოს ეხომება

# სამი შანსი
## ვატო: პორტუგალია
## მანო: იტალია
## ვოვა: სლოვენია

ფინალში წაგებას ნაჩვევი „ქართული" ევროკლუბებისთვის ამ უქმეებზე ისე შეტრიალდა ვითარება, რომ სამ მათგანს — „ოლიმპიას", „ოლივეირენშეს" და „ბენეტონს" — ჩემპიონობამდე ნაბიჯილა უკლია.

პორტუგალიით დავიწყოთ, სადაც მცირე სასწაული უკვე მოახდინა „ოლივეირენშემ" და მისმა ქართველმა ფორვარდმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა. რეგულარული ჩემპიონატის მოგებმა ოლივეირენშელებმა ფინალამდე არხეინად იარეს, მაგრამ გადამწყვეტ სერიაში შარშანდელ ჩემპიონ „ტელეკომთან" გვარიანად გაუჭირდათ. შინ ორი სადებიუტო წაგების შემდეგ „ოლივეირენშე" თითქმის უიმედო სიტუაციაში აღმოჩნდა, რაკი მომდევნო ორ შეხვედრას სტუმრად ატარებდა და მარცხის უფლება არ ჰქონდა. ჰოდა, ივაჟკაცეს ოლივეირენშელებმა, უფრო კი მათმა ქართველმა თავდამსხმელმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, რომელიც ლისაბონში მოგებული ორივე მატჩის ბომბარდირი გახდა.

პირველ ლისაბონურ მატჩში ნაცვლიშვილმა 29 წუთში 19 ქულა ჩაუგდო ტელეკომელებს, „ოლივეირენშემ" კი 79:75 გაიმარჯვა. საშაბათო შეხვედრაში ვატომ ორით ნაკლები, 17 ქულა მიითვალა, თუმც მატჩის ბომბარდირი მაინც ის გახდა, მისი „ოლივეირენშე" კი წელში გაიმართა და „ტელეკომს" იქით ჩაუფერფლა საჩემპიონო შემართება.

გადამწყვეტ მატჩს ხვალ ოლივეირენშელები უმასპინძლებენ და თუ იმარჯვეს, ვახტანგ ნაცვლიშვილისთვის ეს საზღვარგარეთ მოგებული პირველი ოქრო იქნება.

იტალიაში კი ყველაფერი იქით მიდის, რომ ტრევიზოს „ბენეტონის" შემადგენლობაში მეორე ქართველმა უნდა იჩემპიონოს. შარშან ამ გუნდში ნიკა ცქიტიშვილმა მოიგო სკუდეტო, წლეულს იგივეს ეშურება მანუჩარ მარკოიშვილი, რომელიც ფინალური სერიის პირველ ორ მატჩში უთამაშებლობის შემდეგ მოედანზე გამოჩნდა და „სკიპერის" 87:62 დამარცხებაში მოკრძალებული, ორქულიანი წილი დაიდო.

„პირველ ორ მატჩში ჩემს ნაცვლად კრესიმირ ლონჩარი ათამაშეს, კვირას კი მას მაღალი სიცხე ჰქონდა — გვითხრა გუშინ მარკოიშვილმა, ტრევიზოში რომ დავუკავშირდით — ბევრი არ მითამაშია, მხოლოდ 5 წუთი ვიყავი მოედანზე. მესინამ თავიდანვე დამაყენა, მაგრამ შეცდომა დავუშვი და ბოლოსღა დამაბრუნა მოედანზე. ანგარიშიდან ჩანს, რომ ადვილად მოვიგეთ, მაგრამ არც ასე იყო საქმე. სკიპერელები ბოლოსღა გატყდნენ, მანამდე ტოლ-სწორად გვებრძოდნენ. ბოლონიელი ფანები კი ნამდვილი ხულიგნები ყოფილან, ამ მატჩზე 200 კაცი იყო ჩამოსული და მთელი ტრევიზო აიკლეს. წაგებით გახელებულებმა ჩვენი გუნდის გულშემატკივრებს ბოთლები, ქვები, სკამები დარბაზშივე დაუშინეს, გარეთ გამოვიდნენ და ბენეტონელთა მანქანებს მინები ჩაულეწეს. ხვალ მათ ქალაქში ვთამაშობთ და სამაგიეროს გადახდას გამარჯვებით ვაპირებთ. ბოლონიაში უნდა მოვიგოთ სკუდეტო და იქაურები გულზე გავხეთქოთ."

ხვალინდელი მატჩი თუ ვერ მოიგო, სერიაში ანგარიში გათანაბრდება (2:2) და „ბენეტონი" საჩემპიონო ჯახს ტრევიზოში უმასპინძლებს.

ბოლოს ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიაზე" გამცნობთ, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, სლოვენიის საჩემპიონო სერიაში ანგარიში 2:2 გაუთანაბრა ნოვო მესტოს „კრკას". ლიუბლიანურ მატჩში ბოისამ 24 წუთში 6 ქულა მოიხვეჭა, „ოლიმპიამ" კი უშანსოდ დატოვა „კრკა" და ახლა გადამწყვეტ შეხვედრაში, ნოვო მესტოში, დიდი ომი ელის.

**ირაკლი პერტაია**



# მშვიდად, შვიდად
## ქართველების 4+3 ლიცენზია

ევროპის ვაჟთა პირველობაზე ზურაბ აზმაიფარაშვილის გაჩემპიონების შემდეგ გასარკვევი მხოლოდ ის იყო, დარჩენილ ორ საპრიზო ადგილს ვინ გაინაწილებდა.

შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასულმა აზმაიფარაშვილმა 9,5 ქულა დააგროვა, მეორე ადგილისთვის კი ცხრა-ცხრა ქულის მომგროვები რუსი ვლადიმერ მალაკოვი და გერმანელი ალექსანდრ გრაფი აცხადებდნენ პრეტენზიას. მათ შორის უკეთესის გამოსავლენად ტაი-ბრეიკი დაინიშნა.

პირველი პარტია გრაფმა დაიწყო და ყაიმით დასრულა. მისგან განსხვავებით მალაკოვმა შანსი არ დაკარგა, დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ამ ჯერზე შავი ფიგურებით მოთამაშე გერმანელი და მეორე ადგილზეც აცოცდა.

ქართველთაგან აზმაიფარაშვილის შემდეგ ვაჟთა პირველობაზე ყველაზე უკეთ გიორგი ყაჭეიშვილი გამოვიდა, რომელმაც 35-ე ადგილი დაიჭირა და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის დებულების თანახმად, ფიდე-მ პირველ 39 ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური უბოძა.

საუკეთესო ოცდაცხრამეტეულში მოხვედრა კიდევ ორ ქართველ დიდოსტატს, მიხეილ მჭედლიშვილსა და ბადურ ჯობავას შეეძლოთ, თუმც ბოლო ტურებში ორივემ დაკარგა შანსი.

საბოლოოდ ქართველმა ვაჟებმა წლევანდელ ევროპირველობაზე ადგილები ასე გაინაწილეს: ზურაბ აზმაიფარაშვილი — 1, გიორგი ყაჭეიშვილი — 35, მიხეილ მჭედლიშვილი — 77, ბადურ ჯობავა — 90, ზურაბ სტურუა — 95, მერაბ გაგუნაშვილი — 100, ზვიად იზორია — 139.

კაცებისგან განსხვავებით ქალთა პირველობაზე გადათამაშება ჩემპიონის გამოსავლენად გახდა საჭირო. ჩემპიონატზე ყველაზე ბევრი, 8,5-8,5 ქულა ორმა მოჭადრაკემ, შვედმა დიდოსტატმა პია კრამლინგმა და ლიტველმა ვიქტორია ჩმილიტემ დააგროვა. შესაბამისად ჩემპიონის გამოსავლენად მათ შორის დამატებითი ორი პარტია დაინიშნა. პირველი შეხვედრა, რომელიც ჩმილიტემ თეთრებით ითამაშა, ყაიმით დასრულდა, მეორეში კი თეთრებით მოთამაშე კრამლინგმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ლიტველ მეტოქეს, ევროპის ჩემპიონი გახდა და საპრიზო 8 ათასი დოლარიც ირგუნა. ბრინჯაო რუს ტატიანა კოსინცევას ერგო.

ქართველმა მანდილოსნებმა ევროპის ჩემპიონობის შანსი ბოლოსწინა, მეათე ტურში დაკარგეს. დასკვნით მეთერთმეტე ტურში მათი მიზანი რომელიმე საპრიზო ადგილზე, ანაც საუკეთესო ჩვიდმეტეულში მოხვედრა იყო, რაც მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მისცემდა.

ქართველ ქალებში ყველაზე უკეთ მაია ლომინეიშვილი გამოვიდა, რომელმაც მე-14 ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური კიდევ სამმა ქართველმა მანდილოსანმა მოიპოვა, ლელა ჯავახიშვილმა ეს ლიცენზია საპატიო 17 ადგილით დაიბევა, ხოლო ანა მათნაძემ და სოფო ტყეშელაშვილმა, რომელთაც შესაბამისად 22 და 23 ადგილები დაიკავეს, ეს წინ მდგარი მეტოქეების უნებლიე დახმარებით მოახერხეს. საქმე ისაა, რომ ანასა და სოფოს გადასწრებულ მოჭადრაკეებს ადრე უკვე ჰქონდათ ლიცენზიები, ამიტომ ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება უკან მდგომ მოჭადრაკეებს ავტომატურად გადაეცათ.

სხვა ქართველმა ქალებმა კი ევროპირველობაზე ადგილები ასე გაინაწილეს: ნინო ხურციძე — 25, ნანა ძაგნიძე — 38, სოფო გვეტაძე — 42, ნონა გაფრინდაშვილი — 62, ქეთევან არახამია-გრანტი — 73, ნათია ჯანჯღავა 76.

# ბორის კუტინმა ჯანყი ჩააცხრო

*ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ერთხელაც გავესაუბრეთ ევროპის ახალ ჩემპიონ ზურაბ აზმაიფარაშვილს. მას ამჯერად დაჩვენი ქართველი მოჭადრაკეების გამოსვლასა და იქ მომხდარ სკანდალზე ვკითხეთ.*



ბორის კუტინმა ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგიც დააჯილდოვა და მღელვარენიც დააშოშმინა

— ჩვენი მოჭადრაკეების გამოსვლას წარუმატებელი ნამდვილად არ ეთქმის. ვაჟებში გიორგი ყაჭეიშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა და ახლა უკვე საქართველოდან ამ დიდ შეჯიბრებაზე სამნი გავემგზავრებით.

**— თქვენ, ყაჭეიშვილი და...**

— მესამე მერაბ გაგუნაშვილია, მან ეს ლიცენზია შარშან მოიპოვა.

**— ქალების გამოსვლას როგორ შეაფასებდით, მანდილოსნებში არც ჩემპიონი გვყავს და არც პრიზიორი.**

— მართალია, ქალებმა ჯილდოები ვერ მოიპოვეს, მაგრამ არც მათი გამოსვლა იყო წარუმატებელი. ჩვენმა ქალებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ოთხი ლიცენზია მოიპოვეს. ესინი არიან მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე და სოფო ტყეშელაშვილი. ხოლო მათთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ორი ჩვენებური — ნინო ხურციძე და მაია ჩიბურდანიძეც ითამაშებენ, რომელთაც მანამდე მოიპოვეს ეს უფლება.

**— მათნაძემ და ტყეშელაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე 22-ე და 23-ე ადგილები გაინაწილეს, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური კი მხოლოდ პირველ 17 საუკეთესო მოჭადრაკეზე ნაწილდებოდა.**

— დიახ, ასე, იყო მაგრამ ვინც ამ საუკეთესოებში მოხვდა, უმრავლესობას ადრევე ჰქონდა ეს საგზური და მათი ლიცენზიები დანარჩენ მონაწილეებზე გადანაწილდა.

**— ევროპის ჩემპიონატზე არასასიამოვნო ფაქტი მოხდა. 187-მა მოჭადრაკემ პროტესტი გამოთქვა იქაურ პირობებზე და ევროპის საჭადრაკო კავშირიდან გასვლით დაიმუქრა. ამის გამო ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტმა ბორის კუტინმა პრესკონფერენცია მოაწყო და სიტყვით თქვენც გამოხვედით...**

— ევროპის კავშირის პრეზიდენტმა ბორის კუტინმა ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოაწყო პრესკონფერენცია, სადაც მომჩივანი მხარის ყველა კითხვას უპასუხა და განაცხადა, რომ უკმაყოფილების საბაბი არავის აქვს, რადგან ევროპაში ჭადრაკი სწრაფად ვითარდება. იგი დაეთანხმა მოჭადრაკეებს, რომ სასტუმროს ნომრები მართლაც არ იყო შესაფერისი, თუმც ამის მიზეზებიც ახსნა, ერაყის ომის შემდეგ მსოფლიოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, ჩემპიონატის ჩატარებაც საეჭვო იყო და ეს მაინც რომ შევძელით, ამითაც დიდი საქმე გაკეთდაო.

კუტინმა ასევე განაცხადა, რომ არ იზიარებს ამ წერილის აზრს და კანონის დარღვევას არ აპირებს, თუმც არც ის გამორიცხა, რომ შეიძლება, ეს საკითხი ევროპის საჭადრაკო ანსამბლეაზე განსახილველად შეიტანოს.

**— „ამბოხებული" მოჭადრაკეები როგორ შეხვდნენ კუტინის სიტყვებს?**

— ნორმალურად, თუმც შემდეგ სიტყვით გამოვიდა თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი და თქვა, რომ თურქმა მოჭადრაკეებმა მთელი ჩემპიონატის განმავლობაში უფასოდ იცხოვრეს. „ჩვენს ხარჯზე" — იყო პასუხი დარბაზიდან. მას ცუდი არაფერი უხსენებია თუმცა თავი უნდა შეეკავებინა მსგავსი განცხადებისგან, რადგან დარბაზში ბევრი გაღიზიანებული მოჭადრაკე იჯდა.

**— ამის შედეგად მდგომარეობა უფრო დაიძაბა?**

— დიახ, ამის შემდეგ კი სიტყვით მე გამოვედი. ჩემი საუბრით დასრულდა პრესკონფერენცია. მოჭადრაკეებს ავუხსენი, რომ სპონსორები კარებს არ გვინგრევდნენ, ევროპის საჭადრაკო ფედერაცია კი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება, კარგ პირობებში ამყოფოს ისინი. რომ ევროპის ჭადრაკის კავშირის პრეზიდენტი ბორის კუტინი პატიოსანი კაცია და იგი ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებს. განაწყენებულ მოჭადრაკეებს ასევე ვუთხარი, რომ თუ ასე აწუხებთ ეს პრობლემა, მოძებნენ თავიანთ ქვეყანაში სპონსორი და გვერდში ამოგვიდგნენ. თუ არადა ოპოზიციონერობა და ასეთი ქცევა ნამდვილად არ ივარგებს.

**ლაშა გეგეჭკორი**



# ბიუროკრატია ძნელი მეტოქეა
## საკონსულომ მოჭიდავეებს ლაიფციგი არ ანახა

*13-15 ივნისს გერმანულ ქალაქ ლაიფციგში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირზე ქართველი მოჭიდავეებსაც უნდა ესასპარეზათ, მაგრამ... გერმანიის საკონსულომ ჩვენებს ვიზების მიცემაზე უარი უთხრა.*

*სიტუაციაში გასარკვევად ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა თურმანიძეს მივმართეთ:*



გერმანიის გზაშეკრული ზაზა თურმანიძე რუსეთისკენ იხედება

**— რით დაასაბუთეს უარი გერმანიის საკონსულოში?**

— არაფრით. ნორმალურ პასუხს ვერ ვეღირსეთ. ლაიფციგის ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობით ტურნირად ითვლება და ერთ-ერთმა უძლიერესმა ნაკრებმა რომ ვიზები ვერ მიიღო, ზედმეტ ბიუროკრატიზმად მიმაჩნია. საბედნიეროდ, გამოსავალი მოიძებნა. 18 ივნისს მახაჩკალაში იწყება კიდევ უფრო ძლიერი შემადგენლობის ტურნირი. ამის შემდეგ კი ვლადიკავკაზში გადავალთ და იქაურ შეჯიბრებაშიც მივიღებთ მონაწილეობას.

**— რუსული ვიზების აღება უფრო იოლია?**

— ამ მხრივ ყველაფერი მოგვარებულია. მახაჩკალაც და ვლადიკავკაზიც აქვეა, კავკასიაში. სიმართლე რომ ვთქვათ, კარგიცაა, ლაიფციგში რომ ვერ წავედით. იქ წასასვლელი ფული ორივე კავკასიურ ტურნირზე გვეყოფა.

**— რა შემადგენლობით მიემგზავრებით?**

— მახაჩკალაში მოდებაძეს გარდა ყველა უძლიერესი იქნება. ალექსის მყესი აქვს დაჭიმული. ის ვლადიკავკაზში შემოგვიერთდება.

**— მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ეს ორი ტურნირი საკმარისია?**

— ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგეები მსოფლიოზეც და ყველგან რუსი მოჭიდავეები არიან. ამ ორ ტურნირზე თითქმის ყველას ვნახავთ, შემდეგ კი საწვრთნელი შეკრებები გვექნება და იქ საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით, ვის და როგორ ვეჭიდავოთ.

**შოთა ძოძალეიშვილი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მერვე ეტაპი

# შუმახერმა კონტრაქტი კანადაში დაასველა

## მაღარიჩს გერმანიაში აპირებს

**ზუსტად** ნახევარი სეზონი გახდა საჭირო, რომ სატურნირო ცხრილის სათავეს ჩვეული სახე მიეღო. შარშანდელი ფანტასტიკური წარმატების შემდეგ, როცა მიხაელ შუმახერმა ჩემპიონატის დასრულებამდე სარეკორდო, ექვსი ეტაპით ადრე გაინაღდა მეხუთე ტიტული, ტრიუმფატორიც და „ფერარის“ უპირობიც დარწმუნებული იყო, რომ წლეულს მეტოქეებზე ისეთივე გამანადგურებელი უპირატესობა აღარ ექნებოდათ, მაგრამ, ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ „წითელ ბარონს“ ასე გაუჭირდებოდა და სეზონის ეკვატორამდე მდევრის როლში აღმოჩნდებოდა.

თქმა არ უნდა, კიმი რაიკონენი უნიჭიერესი მრბოლია. მარტო ის რად ღირს, რომ თავის მხოლოდ მესამე სეზონში საჩემპიონო პრეტენზიას აცხადებს. მაგრამ 23 წლის ფინელის დრო ჯერ არ დამდგარა, თუნდ იმიტომაც, რომ ასეთ ყმაწვილასაკში პირველი დღემდე არავინ გამხდარა. „მაკლარენის“ ხელმძღვანელობაც ვერ მალავდა გაკვირვებას ორივე ჩათვლაში თავიანთი ამდენხნიანი ლიდერობის გამო. ერთი სიტყვით, მართალია, დაგვიანებით, მოსახლენი მაინც მოხდა და მონრეალში ბრწყინვალე გამარჯვებით მიხაელი და „სკუდერია“ ცხრილს სათავეში მოექცნენ.

გუშინწინდელ რბოლაში ფავორიტად სწორედ შუმი ითვლებოდა — ლეგენდარული კანადელი პილოტის ჟილ ვილნევის სახელობის ტრასის აბსოლუტური რეკორდსმენი (5 მოგება, 6 პოული, 70 ქულა), ოღონდ საკითხავი ის იყო, თუნდაც გამარჯვების შემთხვევაში შეძლებდა იგი თუ არა დაწინაურებას, რადგან „ყინულის კაცი“ კიმი მას ოთხი ქულით უსწრებდა და მეორე ადგილზე გასვლითაც შეინარჩუნებდა მეწინავეობას. ამ კითხვას შაბათს, კვალიფიკაციისას გაეცა პასუხი, როცა რაიკონენი პირველივე მოსახვევში შეცდა, ბოლოდი ბალახში გადაუცურდა და საბურავებიან დამცავ კედელს მიაჯახა. ფინელმა, ბუნებრივია, წრე ვერ დაასრულა, რის გამოც მოუწია რბოლის ბოლო, მეოცე პოზიციიდან დაწყება და, ცხადია, არათუ გამარჯვების, პოდიუმის შანსიც თავიდანვე გადაუწურა. ჩაფლავდა მეორე მაკლი დევიდ კულჰარდიც, მან მხოლოდ მე-11 შედეგი აჩვენა. ვერც ფერარელებმა გაიარეს მოკლე, 4,3 კილომეტრი სიგრძის წრე სუფთად — მიხაელს მესამე დრო ჰქონდა, რუბენს ბარიკელოს — მეხუთე. პირველი სასტარტო რიგი კი მოულოდნელად უილიამსელებმა შეავსეს: რალფ შუმახერმა საკმაოდ რთული და ჩქაროსნული წრე უშეცდომოდ გაიქროლა და წამის ოთხი მეათედით აჯობა ხუან პაბლო მონტოიას. ეს პატარა შუმის ზედიზედ მეორე პოულია, შვიდწლიან კარიერაში კი მხოლოდ მესამე.

მონრეალის ტრეკზე სასტარტო სწორი მონაკვეთი მოკლეა, ამდენად პირველ მოსახვევამდე საგრძნობ დაწინაურებას ვერავინ ახერხებს და შეხლა-შემოხლაც ხშირია. ამჯერად დასაწყისი მშვიდობიანი იყო, თუმც რენოელ ფერნანდო ალონსოს გასასწრებად მოწადინებულ ბარიკელოს „ფერარიმ“ ოდნავ „ურქინა“ ესპანელისას და ცხვირმობრეცილი საბოქსე შეიქნა. მექანიკოსებმა რუბინიოს წინა ფრთა მკვირცხლად კი შეუცვალეს, მაგრამ ბრაზილიელი ამ იძულებითი შეფერხებით ქარავანის კუდში აღმოჩნდა. ამას გარდა, რბოლის მიწურულს მის წითელ ბედაურს გვერდითი დეფლექტორიც მოსძვრა და ტემპი დაკარგა, ასე რომ, საბოლოოდ, ბარიკელო მეხუთე ადგილითაც უკმაყოფილო არ დარჩენილა.

რალფმა და ხუანმა დასაწყისში პოზიციები კი შეინარჩუნეს, მაგრამ ორიოდ წუთში უილიამს-ტანდემი დაიშალა: ფინიშისწინა ორმაგ მოსახვევში კოლუმბიელმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მანქანა ტრასაზე დაუტრიალდა, რაც ერთბაშად სამი ადგილის დაკარგვად დაუჯდა. მართალია, მალევე მოახერხა მარკ ვებერისა და ალონსოს გვერდის ავლა, მაგრამ წინ გაჭრილ შუმახერებს ვერაფერი დააკლო და ყველაზე ადრე გაუხვია ბოქსებისკენ.

მიხაელი რალფს მიბმულივით კი მისდევდა, მაგრამ გასასწრებად ერთხელაც არ გაუბრძოლია, რაც მუხრუჭების ბრალი ყოფილა. ბოქსში პირველი სტუმრობის წინ უმცროსი შუმი ნახევარ წამს უგებდა ძმას. მიხაელმა ერთი წრის შემდეგ ჩაიმატა საწვავი, მაგრამ მანამდე ორიოდ წუთში ისეთი მარაგი შეიქმნა, რომ ტრასაზე დაბრუნებულმა ძმას ცხვირწინ ჩაუქროლა. ახლა უკვე რალფი აედევნა კუდში, ისიც ყოველგვარი აგრესიის გარეშე. მიხაელმა მეორე, ასევე გვიანი პიტსტოპის ხარჯზე შეინარჩუნა მინიმალური სხვაობა, რაც საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა. ფინიშამდე ოთხეულში ცვლილება აღარ მომხდარა, მათ უკან კი ძრავის მიზეზით კულჰარდმა და ახალბედა კრისტიანო და მატამ ჩასათვლელ რვიანში ადგილები დაკარგეს. იყოჩაღა რაიკონენმა, რომელმაც რაკი რბოლა ბოლომ, თანაც ბოქსებიდან დაიწყო, ერთ პიტსტოპიანი ტაქტიკა შეირჩია და იმის გათვალისწინებითაც, რომ შუა დისტანციაზე „მიშლენის“ ნაქები საბურავი მოსძვრა, ამდენი დავიდარაბის გათვალისწინებით, მეექვსე ადგილი და სამი ქულაც მშვენიერი შედეგია.

მიხაელმა საათნახევრიანი რბოლა ჩვეულ სტილში, სწრაფად და უნაკლოდ წარმართა. ერთი კვირის წინ „ფერარის“ ხელმძღვანელობამ მასთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით, 2006 წლის ბოლომდე გააგრძელა და დიადმა გერმანელმაც თავისთვის ეს სასიხარულო ამბავი სთანადოდ, მონრეალში მორიგი ბრწყინვალე გამარჯვებით „დაასველა“. 34 წლის პილოტმა ფანტასტიკურ კარიერაში 68-ე მოგება მიითვალა და 999 ქულაც დაუგროვდა. ასე რომ, უკვე მომავალ ეტაპზე თავის სამშობლოში, ევროპის დიდი პრიზის გათამაშებისას, წარმოუდგენელ, ათასქულიან ზღვარსაც ალბათ დაძლევს: „დღევანდელი გამარჯვება იდეალური შედეგია იმის გათვალისწინებით, რომ ბრძოლა ძალიან დაძაბული და მჭიდრო იყო — თქვა მიხაელმა ნარბოლევს — თავიდან მცირე პრობლემების გამო იძულებული ვიყავი, მუხრუჭებს მოვფრთხილებოდი და ამის გამო ძალიანაც არ ვჩქარობდი, მხოლოდ პიტსტოპის წინ მოვუმატე სისწრაფეს. რალფის საბურავები უკეთ მუშაობდა, ამიტომ გასწრების შანსი არ მქონია. გალიდერებას, ცხადია, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, თუმც, როგორც არაერთხელ მითქვამს, ბრძოლა ჩემპიონატის ფინიშამდე დაძაბული იქნება. რაც შეეხება 999 ქულას, იმედი მაქვს, ათასქულიან მიზანს ორი კვირის შემდეგ შინ, გერმანიაში მივაღწევ. ასე რომ, მომიწევს რბოლის შემდეგ დიდი ქეიფის გამართვა.“

წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე სტაბილური პილოტი რალფ შუმახერი, მეორე ადგილისთვისაც კი ფრენკ უილიამსმა გაკიცხა, აქაოდა, ძმას გასასწრებად არ უტევდაო: „არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ მგონია, რალფის ადგილზე ხუანი უფრო მტკიცე და შემტევი იქნებოდა“ — თვლის „უილიამსის“ ბოსი. რალფი, ბუნებრივია, თავს იცავს, ჩემმა მანქანამ არ მომცა „ფერარის“ გასწრების საშუალება, მათ გვიანი საბოქსე სტრატეგიის ხარჯზე გვაჯობეს და ეს გადამწყვეტი აღმოჩნდაო.

**გია ახალაძე**



REUTERS

რალფ და მიხაელ შუმახერებმა მეოთხე ოჯახური დუბლი მიითვალეს



REUTERS

ასეთი მარცხის მიუხედავად, კიმი რაიკონენი უქულოდ არ დარჩენილა

### რბოლის შედეგები

**კანადის დიდი პრიზი**
**15 ივნისი. მონრეალი**
დისტანცია — 70 წრე — 305,270კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (3) | მ. შუმახერი (ფერარი) | 1:31:13,591 (200,8 კმ/სთ) |
| 2. | (1) | რ. შუმახერი (უილიამსი) | ჩამორჩა 0,784 |
| 3. | (2) | მონტოია (უილიამსი) | 1,355 |
| 4. | (4) | ალონსო (რენო) | 4,481 |
| 5. | (5) | ბარიკელო (ფერარი) | 1:04,261 |
| 6. | (20) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1:10,502 |
| 7. | (6) | ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 8. | (7) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 9. | (15) | ფერსტაპენი (მინარდი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| 10.(13) | პიცონია (იაგუარი) | გაიარა 66 წრე |
| 11.(9) | და მატა (ტოიოტა) | 64 |
| (18) | უილსონი (მინარდი) | 61 |
| (17) | ბატონი (B.A.R) | 52 |
| (11) | კულჰარდი (მაკლარენი) | 48 |
| (12) | ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 48 |
| (8) | ტრული (რენო) | 23 |
| (16) | ფიზიკელა (ჯორდანი) | 21 |
| (19) | ფირმენი (ჯორდანი) | 21 |
| (14) | ვილნევი (B.A.R) | 15 |
| (10) | ფრენცენი (ზაუბერი) | 7 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
რ. შუმახერი 1:15,529 (207,9 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
ალონსო 1:16,040 (206,5 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ.ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | | | | | | | | | 54 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | 8 | 8 | 3 | | | | | | | | | 51 |
| 3 ალონსო რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | – | 4 | 5 | | | | | | | | | 34 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | 4 | 3 | 5 | 8 | | | | | | | | | 33 |
| 5 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | – | 10 | 6 | | | | | | | | | 31 |
| 6 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | 6 | 1 | 4 | | | | | | | | | 31 |
| 7 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | 4 | 2 | – | | | | | | | | | 25 |
| 8 ტრული რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | 1 | 3 | – | | | | | | | | | 13 |
| 9 ფიზიკელა ჯორდანი, იტალია | – | – | 10 | – | – | – | – | – | | | | | | | | | 10 |
| 10 ბატონი B.A.R, დ.ბრიტანეთი | – | 2 | – | 1 | – | 5 | – | – | | | | | | | | | 8 |

ფრენცენი (ზაუბერი) — 7; ვებერი (იაგუარი) — 6; ვილნევი (B.A.R), და მატა (ტოიოტა) — 3; ჰაიდფელდი (ზაუბერი), ფირმენი (ჯორდანი), პანი (ტოიოტა) — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბრაზილია | სან მარინო | ესპანეთი | ავსტრია | მონაკო | კანადა | ევროპა | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | იტალია | აშშ | იაპონია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 5 | 11 | – | 16 | 16 | 16 | 7 | 14 | | | | | | | | | 85 |
| 2 მაკლარენი | 16 | 10 | 13 | 12 | – | 12 | 10 | 3 | | | | | | | | | 76 |
| 3 უილიამსი | 9 | 5 | 2 | 7 | 9 | 3 | 15 | 14 | | | | | | | | | 64 |
| 4 რენო | 6 | 10 | 7 | 3 | 8 | 1 | 7 | 5 | | | | | | | | | 47 |
| 5 ჯორდანი | – | – | 10 | – | 1 | – | – | – | | | | | | | | | 11 |

B.A.R — 11, ზაუბერი — 8, იაგუარი — 6, ტოიოტა — 4 ქულა

# ფავორიტთა პირველი ბალახობა

## გლაჯუნა ენდიბოი და მხიარული როჯერი

**STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
**ლონდონი. ბალახი**
**საპრიზო 800 ათასი ევრო**

### მეოთხედფინალი

**სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 6:3, 6:4; ანდრე აგასი (2, აშშ) — ქსავიე მალისი (8, ბელგია) 6:4, 7:5; ენდი როდიკი (3, აშშ) — ტაილორ დენტი (11, აშშ) 6:3, 7:6 (7:3); ტიმ ჰენმანი (7, ბრიტანეთი) — ენტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:1, 6:4**

### ნახევარფინალი

**როდიკი — აგასი 6:1, 6:7 (5:7), 7:6 (8:6); გროჟანი — ჰენმანი 6:3, 6:4**

### ფინალი

**როდიკი — გროჟანი 6:3, 6:3**

უცნაური, გამორჩეული სეზონი აქვს 20 წლის ჯანიან ამერიკელ ენდი როდიკს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე კარიერის პირველ სალემო ნახევარფინალამდე გაატანა. რომ არა მტკივანი მაჯა, მაშინ ეგებ ფინალში თამაშიც მოეხერხებინა.

ნაიმამბევს ჩოგბურთზე მწერალთ იმედი მიეცათ — როგორც იქნა, სამპრასიან-აგასიანთა თაობის ცვლა საერთაშორისო სარბიელზე თავის წილ ადგილს იკავებსო.

მერე ენდიბოის საქმეები ისე-რა წაუვიდა. მოგებით კაი ხანი ვერაფერი მოიგო, ხოლო ორგან — მემფისსა და ჰიუსტონში გადამწყვეტი შეხლები დათმო. მემფისურ მაგარსაფარზე — ტაილორ დენტთან, ჰიუსტონურ თიხნარზე — ანდრე აგასისთან.

მთავარსათაურებს როდიკი მაისის შუაწელზე, ზედ როლანგაროსობის წინა კვირაში დაუბრუნდა, როცა ავსტრიული ზანქტპოლტენის თიხნარკორტებზე კარიერის პირველი არაამერიკული ტიტული მოიხვეჭა.

ჩოგბურთზე მწერლები ისევ გამოცოცხლდნენ. გაჩნდა იმის იმედი, რომ გლაჯუნა ამერიკელი პარიზულ სეფეთიხნარზე ჯიშად მეთიხნარე ესპანელებთან გადავებას შეძლებდა.

ვაგლახ — პარიზში ის პირველსავე წრეში დაჩოგნეს. სარგის სარგსიანთან წაფორხილებას ენდი შემთხვევითობას მიაწერდა, რაღაც სისულელე მოხდაო, ამბობდა.

საქმეში ჩახედულ ხალხს შორის აზრი გაიყო. მავანნი ენდიბოის ეთანხმებოდნენ, მავანთა აზრით კი ამ ბიჭს ეგრეც არ უწერია სამპრას-აგასიანთა დიადი თაობის სრულფასოვან მემკვიდრედ ქცევა.

ამ უკანასკნელთა აზრის შეცვლა როდიკმა როლანგაროსობის მომდევნო კვირაშივე სცადა.

საქმე ლონდონურ ბალახზე, ქუინზ კლაბის თვალმახარა კორტებზე მოხდა და აქვე წარმოდგენილი ანგარიშებითაც დაატყობთ, სკეპტიკოსთა თავის მხარეზე გადმოსაბირებლად ენდიბოიმ მართლაც რიგიანი შრომა გასწია.

სხვა თუ არაფერი, სტელა არტუას ელიტარულ პირველობაზე, სადაც წინასაუიმბლდონოდ თავ-თავის დროზე ჯიმი კონორსი, ჯონ მაკინროი, პიტ სამპრასი და სხვა ლეგენდარული მებალახსაფრენი დაგეშილან, როდიკმა თავისი ორი საამსეზონო რევანშის აღება შეძლო. მემფისურ ფინალში მარცხისთვის მუქაფა ტაილორ დენტს უზღა, ჰიუსტონურისთვის კი — თავად ანდრე აგასის.

ფინალში კი მან პირწმინდად შემუსრა გონიერი ფრანგი სებასტიან გროჟანი, ვინაც თავის მხრივ მეოთხედფინალში სამგზის ტიტულდამცველი ლეიტონ ჰიუიტი გააბითურა, ხოლო ნახევარფინალში მასპინძელთა ჯილა ჰენმანს მოუგო.

როდიკის მძლავრმა გლაჯუნმა, ხშირმა ეისობამ და ბარაქიანმა ხელწაღმამ მის უდაუნდობელეს კრიტიკოსთა გულიც მოინადირა. რომ აღარაფერი ვთქვათ აგასისთან ჩოგნაობისას საათში 149-მილიანი (239,8 კილომეტრი საათში) სიჩქარის მოწოდებაზე, რითაც ის აქამომდელ რეკორდოსან გრეგ რუზეცკის გაუთანაბრდა.

ენდიბოიმ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ის უკვე მომწიფებული ოსტატია და 23 ივნისს დასაწყები უიმბლდონობის ერთ-ერთ ფავორიტად უნდა ვიგულოთ.

სხვაფრივ — ეს მისი მეშვიდე საკარიერო, მეორე საამსეზონო და პირველი საბალახსაფრო ტიტული გახლავთ. ტიტულმა ის 12-თვიან მგორავ რეიტინგსიაში მე-7 საფეხურიდან მე-6-მდე აამაღლა, მის პირად ანგარიშს კი 94 700 ევრო არგო.

**GERRY WEBER OPEN**
**ჰალე. ბალახი**
**საპრიზო 800 ათასი ევრო**

### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — იუნეს ელ აინაუი (5, მაროკო) 7:5, 7:6 (7:3); მიხაილ იუჟნი (6, რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (3, ჩეხეთი) 6:4, 6:4; არნო კლემანი (8, საფრანგეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:5, 6:7 (5:7), 7:6 (8:6); ნიკოლას კიფერი (გერმანია) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 7:5, 6:3**

### ნახევარფინალი

**ფედერერი — იუჟნი 4:6, 7:6 (7:4), 6:2; კიფერი — კლემანი 4:6, 7:6 (7:4), 6:4**

### ფინალი

**ფედერერი — კიფერი 6:1, 6:3**

თუკი ბობოლა ტურნირებზე და — მათ შორის — სლემკორტებზე — ჩაფლავებებს არ ჩავთვლით, როჯერ ფედერერი წლეულს შეუდარებელია.

თავად განსაჯეთ: 21 წლის ზორბა ალპელმა ჰალეში უკვე მეოთხე საამსეზონო ტიტული მოირეწა და — თქვენ წარმოიდგინეთ — მეოთხევე განსხვავებულ საფარზე.

წლეულს მან პირველად მარსელურ ჭერქვეშა მაგარსაფარზე იმარჯვა, ამას დუბაურ ჭერგარე მაგარსაფარზე მოპოვებული ტიტული მიათვალა, მესამედ მიუნხენურ თიხნარზე გაპარპაშდა, ამ ჯერზე კი კარიერის პირველი საბალახსაფრო ტიტულიც ირგუნა.

ეს მისი მერვე საკარიერო ჯილდო იყო და ამ გამარჯვებამ მას 113 ათასი ევროც მოუტანა.

არადა, გამარჯვება შაბაშ დამაჯერებელი გამოდგა. სხვა თუ არაფერი, ტურნირის 1999 წლის ჩემპიონი ნიკოლას კიფერი მან ფინალში 68 წუთში დაჩაგრა — ასეთი ხანმოკლე ფინალი კი ჰალეურ კოინდარზე ტურნირის 11-წლოვან ისტორიაში ჯერ არასოდეს ჩათამაშებულიყო.

ახლა ფედერერი 9 საამსეზონო მარცხის წილ უკვე 43 მოგებას მოიძევს, ამდენი მოგება კი ამქარში სხვას ჯერ არავის დაეკვეხება.

შედეგად — ჩემპიონთა რბოლაში მეექვსედან მეოთხე ადგილამდე აღზევება და რიგიანი წინასაუიმბლდონო განწყობა...

ლონდონური სეფეკოინდრიდან ის შარშან პირველსავე წრეში აოტეს — მას ოყლაყი ხორვატი მარიო ანჩიჩი მოერია. იმის წინ მან მეოთხე წრეში პიტ სამპრასს 5-სეტიან განდაგანაში აჯობა და იქაური 31-მოგებიანი სერია წაუმურდლა. ხოლო 1998-ში იუნიორმა ფედერერმა თავისკბილებში ერთეულადაც იჩემპიონა და წყვილადაც.

მისი უპირველესი ოცნებაც სწორედ ამის გამეორებაა — ოღონდ უკვე დიდთა შორის.

...ეგეც ჩვენი მეორე საამუიმბლდონო ფავორიტი.

**ლევან ძელაურაძე**



როჯერ ფედერერი



ენდი როდიკი





ჯონი უილკინსონმა ლამის მარტომ დაამარცხა ახალზელანდიელები

# ოუ, ჯონი

## უილკინსონს ქარმაც ვერ მიაქარინა

*ექვსი ერის ტრიუმფატორმა ინგლისმა დაამტკიცა, რომ დღეს მსოფლიოს საუკეთესო ნაკრები და შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს თასის უპირველესი ფავორიტია. ინგლისელი ჯონი უილკინსონი კი პლანეტის საუკეთესო მე-10 ნომერია. ჯონიმ და მისიანებმა აქ უქმეებზე სტუმრად დასცეს სამხრეთ ნახევარსფეროს ჩემპიონი ახალი ზელანდია და კლასიფიკაციაში პირველობა განიმტკიცეს*

**14 ივნისი. ველინგტონი**

**ახალი ზელანდია 13:15 ინგლისი**

**ახალი ზელანდია: 1ლ: ჰოულეტი; 1გ: სპენსერი; 2ს: სპენსერი**
**ინგლისი: 4ს: უილკინსონი; 1ა: უილკინსონი**

ველინგტონში ძლიერი ქარი ქროდა, რამაც თავისი დაღი დაასვა სანახაობას, თუმც ნახევარსფეროთა ყოჩების ჯახი მაინც ეშხიანი გამოდგა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ინგლისელთა ოქროს ბიჭი, 23 წლის ჯონი უილკინსონი გახდა. ჯონიმ მძლავრ ქარსაც აჯობა და თავის ოპონენტ კარლოს სპენსერსაც, რომელმაც წლევანდელ ზე-12-ში გაიბრწყინა და „ოლ ბლექსის" 10-ნომრიანი მაისურა ალბათ დიდი ხნით მოირგო.

„ჯონი შეუფასებელი მოთამაშეა და მე თუ მკითხავთ, მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეა" — ხოტბა-დიდება არ დააკლო თავის ნებიერას ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა.

უილკინსონმა დაიმსახურა ასეთი ქება. მან პირქარში 5-დან 4 საჯარიმო გაიტანა და ზედ ერთი არუკნიც დაურთო. „ჯონის ყოველი დარტყმის შემდეგ ისეთ სიხარულს განვიცდიდი, მინდოდა გულში ჩამეკრა და მერე მისი ფეხები დამეკოცნა — თქვა ინგლისელთა ბებერმა მგელმა ლოურენს დალაღლიომ და იქვე იხუმრა — ეს იმიტომ არ გავაკეთე, რომ ემოციებისგან გადარეულს შემეშინდა, ჯონი ძვლებში არ დამემტვრია."

ახალზელანდიელთა მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა კი მარცხი მოთამაშეთა ტრავმიანობით ახსნა: „ჩვენ გვაკლდნენ გუნდის საკვანძო მოთამაშეები — კრისტიან ქალენი, არონ მეიჯორი და ენდრიუ მერთენსი. მათი შეცვლა ახალბედებით ვცადე, რომლებმაც სრულად ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები. ალბათ ნერვიულობდნენ... ვფიქრობ, სწორედ ლიდერების ტრავმებმა განაპირობა დღევანდელი მარცხი." როდესაც მიტჩელს უილკინსონზე ჰკითხეს, ასე უპასუხა — „ჯონიმ სტიქიასაც აჯობა. ამით ყველაფერი ნათქვამია."

**14 ივნისი. ბუენოს აირესი**

**არგენტინა 10:6 საფრანგეთი**

**არგენტინა: 1ლ: პიოშკო; 1გ: ფ. კონტეპომი; 1ს: ფ. კონტეპომი**
**საფრანგეთი: 2ს: ტრაილე დელაი**

**14 ივნისი. იოჰანესბურგი**

**სამხრეთ აფრიკა 28:19 შოტლანდია**

**სამხრეთ აფრიკა: 1ლ: ტერბლანში; 1გ: კოენი; 6ს: კოენი; 1ა: კოენი**
**შოტლანდია: 1ლ: კრეგი; 1გ: პატერსონი; 4ს: პატერსონი**

**14 ივნისი. სიდნეი**

**ავსტრალია 30:10 უელსი**

**ავსტრალია: 6ლ: სეილორი (2), ლატამი, ბოლი, გრეი; 1გ: როფი; 1ს: ფლეტლი**
**უელსი: 1ლ: რობინსონი; 1გ: ს. ჯონსი; 1ს: ს. ჯონსი**

**14 ივნისი. ნუკუალოფა**

**ტონგა 19:40 ირლანდია**

**ტონგა: 2ლ: ჰოლა; 3ს: ჰოლა**
**ირლანდია: 6ლ: ისტერბი (2), კელი (2), მაკპიუ, ბელი; 2გ: ოგარა; 2ს: ოგარა**

### ევროპის ერთა თასი 2003

# გადადებული მატჩი არქივისთვის

**14 ივნისი. პრაღა**

**ჩეხეთი 27:13 რუსეთი**

რუსეთის ნაკრებმა პრაღაში მარცხით წლევანდელი ერთა თასი ბოლოსწინა, მე-5 ადგილზე დაასრულა. რუსები ამ ტურნირზე მესამე წელია, თამაშობენ და ასე დაბლა ჯერ არ დაშვებულან.

ეს იყო წლევანდელი ერთა თასის პირველი ტურის შეხვედრა, რომელიც თებერვალში უნდა გამართულიყო, მაგრამ მაშინ, ჩეხეთში გამეფებული ყინვის გამო გადაიდო.

რუსებმა ჯერ კიდევ მატჩის წინ დაიჭირეს ერთგვარი „თადარიგი". მათი რაგბის კავშირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დათვები" პრაღაში მეორე შემადგენლობით მიდიოდნენ და რუსთა მარცხი მოულოდნელი არ იქნებოდა.

ჩეხებს კი შანსი აქვთ, მე-3 ადგილი დაიკავონ. საამისოდ მათ კიდევ ერთ გადადებულ მატჩში რუმინეთი უნდა დაამარცხონ.

**მიხეილ ხოფერია**

| ევროპის ერთა თასი 2003 | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 5 | 0 | 0 | +68 | 10 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +48 | 6 |
| საქართველო | 5 | 3 | 0 | 2 | +35 | 6 |
| ჩეხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | -32 | 4 |
| რუსეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -13 | 2 |
| ესპანეთი | 5 | 0 | 0 | 5 | -110 | 0 |



REUTERS ასუნსიონიდან

# ქორწილები

შვებულებების დროა და ფეხბურთელებმა ქორწილები მიაყარეს. „ბაიერნის“ პარაგვაელმა როკე სანტა კრუზმა ასუნსიონის მთავარ ტაძარში იქორწინა გიზელე ესტეფანია ტავარელიზე. ესტეფანია როკის კოლეგის, „ოლიმპიასა“ და ნაკრების მეორე მეკარის რიკარდო ტავარელის დაა. ოლესუნდში კი, მშობლიურ ქალაქში იფსკვნეს გვირგვინი „ლივერპულის“ ნორვეგიელმა იონ არნე რიისემ და მისმა ძველმა მიჯნურმა გური ჰავნევიკმა. შვებულებისას უფრო სერიოზულს ვერც მოიმოქმედებ რამეს.



REUTERS ოლესუნდიდან



REUTERS ჩიკაგოდან

# სტრიკერი და რეკლამა

*სტრიკერებმა რომ თავის სიშიშვლე ბიზნესად აქციეს, წლევანდელი ამბავია, ადრე თუ ვიჟმაჟი ტიტლიკანა მხოლოდ ახირებისთვის გადმოეშვებოდა ტრიბუნიდან, ახლა ზურგზე სარეკლამო განცხადებას წააწერს ხოლმე. ჩიკაგოს ახლო მიმდინარე საგოლფე ტურნირის მინდვრიდან ძლივს გაიყვანეს ტიტლიკანა გოგო, რომელიც „გოლდენ პალასის“ კაზინოს საიტის ვებ-მისამართით ზურგდამშვენებული დარბოდა.*



REUTERS მონრეალიდან

# ოზი და ხუანი

*გასულ უქმეებზე კანადის საფორმულე დიდი პრიზის გათამაშებას შეესწრო ჰევი მეტალის როკ ვარსკვლავი ოზი ოსბორნი, რომელმაც ხუან პაბლო მონტოიასთან გასწია ლაზათი. ოზის თავისი კონცერტების წყება აქვს კანადაში.*

# ბირჟაზე გასვლა

*ეს ძველი ტრადიციაა: ნიუ იორკის სავალუტო ბირჟა ნაირგვარ ჩემპიონებს ცხელ კვალზე მიიწვევს ხოლმე და მათ ბირჟის თავკაცი რიჩარდ გრასო (ქაჩალი) მასპინძლობს. ამჯერად სტუმარი ნიუ ჯერსის ჰოკეისტთა გუნდი „დევილზია“, რომელმაც სწორედ რომ ახლახან მოიგო სტენლის თასი.*



REUTERS ნიუ იორკიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ...ანი, გიორგი კაშაკაძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ხვიჩა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge